ՅՈՒՇԱԿ

№ 17-18

მუშათა საქმისათვის: იქავ მზად!

პიონერი

პიონერების და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური გიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი—ბავშვთათვის.

№17-18

სექტემბერი
1931
წელიწადი მე-6
redaqciis misamarTi:
aRmasqomis, 7.
saxelgami,
saqarTvelo sakavSiro

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

სიტყვა ეკუთვნის ტყიბულს— ალ. კაშმაძე
ენტუზიასტები—მ. ხამადაშვილი
ორი ქვეყანა—
პოლიტექნიკურ სკოლებს მივსცეთ საწარმოო ბაზა
ჩვენ მხოლოდ ერთი სამშობლო გვაქვს
სელიხოთის დროს
ამერიკაში იზრდება უმუშევრობა
ამხანაგო პიონერებო
პიონერ ორგანიზაციის მორიგი ამოცანები—გველესიანი
დამკვრელი პიონერების სიმღერა ალ. ბილანიშვილი
წითელ არმიის მანევრები სურათი
საბჭოთა ტემპი—ბ. ჩხეიძე
დამკვრელი ტემპები—დავ. თავართქილაძე
წერილი ამერიკიდან
ჯორდანო ბრუნო—ა. ბ.
გორის საკონსერვო ქარხანა. ცქვიტი
ქისათიბი სიმდიდრე
პიონერებო იბრძოლეთ ბამბისათვის—მ. გ.
როგორი უნდა იყოს პიონერი ოჯახში და კოლექტივში—ალ. ბილანიშვილი

იწ თელარმიელები ამზადებენ ბანაკებს



დამკვრელი კომკავშირელი ქალი

მუშაობა ჭიათურის მაღაროში

სიტყვა ეკუთვნის ტყიბულს

დაჭკარ წერაქვი, მადანს უმარჯვე,
დაჭკარ წერაქვი შეტევით მეთქი,
ბიჭო შეეხვედრი გეგმა იმარჯვებს,
აწ სულ ცოტალა ჩანს ასაფეთქი.
შრომით, გმირობით
გასწი, დაჭკარი.
და შავი ოქროს ზოდები ჰყარე,
შექმენ ცხოვრება დიად ახალი,
შექმენ ცხოვრება და გაიხარე.
ზოდი ზოდს მისდევს, გვირაბი გვირაბს,
ტყიბული შავი მურით მოსვრილა;
ვუახლოვდებით ხუთწლედის ბოლოს,
სოცმშენებლობის ტემპი გაშლილა!
აბა, დაჭკარი წერაქვი მადანს,
ჩარხებს მიეცი ნახშირი, ჩარხებს,
ის დააბრუნებს დინამო-მოტორს,
ის დააბრუნებს დინამო-ქარხნებს.
ტყიბულის მუშავ, გიწვევს დონელი,
კუზნეცსტროიში ელიან პატაკს,
თქვენს გამოწვევას ელის ურალი,
თქვენს გამოწვევას ის როდის ნახავს..
და შავ გაზინთულ მკერდთა ბორიალს
გული მოჰყვება
ხალისიანი,
სიტყვა არ არის დღეს სათამაშო
სიტყვა არ არის ავი-ზნიანი,
სიტყვას მოითხოვს შავი ტყიბული,
მუშა დამკვრელი—ფოლადიანი.
აბა დაჭკარი, დაჭკარი მადანს,
ნახშირი ჩარხებს, ნახშირი ჩარხებს
გადააბრუნე ხუთწლედის ურო,
სიტყვა ეკუთვნის ტყიბულის მუშებს,
სიტყვა ეკუთვნის ტყიბულის მუშებს,

პიონ. ავთან. კაშმაძე.

ენტუზიასტები

კუნთები რკინისა გვაქვს,
ხელები დაუღლელი,
დაუბრკოლებლივ შრომობს
მკერდები ოფლის მღვრელი.

არ შეჩერდება ქარხნის
გამუდმებულ იქმენა,
წარმოებაში მოვსპოთ
დეზერტირობა, ფრენა.

არ მოედუნდებით უცებ
დროა ჩქარული დენით,
შრომა გავსწიო, ძმებო,
შრომა გავსწიოთ ლხენით!

მკერდით ვაშენებთ ერთად
ინდუსტრიალურ მხარეს,
ვინც ჩვენს რიგებში მოვა,
მას შრომას შეეაყვარებთ.

გეგმა არ დაგვრჩეს ისე,
რომ არ შესრულდეს სრულად,
მოკეთეს ვეხმარებით,
მტერს მოვეჭცევით მტრულად.

სოცშეჯიბრებით მუდამ
ტემპები დავცხოთ ჩქარი,
ინდუსტრიისთვის სოფლად
დავლაროთ მთა და ბარი.

შაქრო სამადაშვილი.



კასპის ცემენტის ქარხანა

ორი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულის ფანცქალით უცდიდენ ბურჟუაზიული ეკონომისტები და მეცნიერნი 1931 წლის პირველი ნახევრის შედეგს. რას იტყვის ციფრები? ბურჟუაზიული ეკონომისტების წინასწარმეტყველებით, ა.-წლის პირველი ნახევარი უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი მომენტი, დაწყებულ კაპიტალისტური სამყაროს აყვავებისაკენ წამყვანი. ახლა დროს უკვე გადაწყვეტილი აქვს ეს ამოცანა, როდესაც ნათლად სჩანს ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიული ეკონომიკის კაპიტალისტურ წუმპეში ჩაძირვა.

გულშეწუხებული კაპიტალისტური პრესა აჭრელებულია კაპიტალისტური ქვეყნების გასული 6 თვის წინასწარმეტყველი „მიღწევებით" ჩვენ შევჩერდეთ ზოგ მათგანზე, რომ ნათლად დავინახოთ განწირული საზოგადოების ზღაპრული ოცნებები მისი ეკონომიკის წინსვლასთან დაკავშირებით.

ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებში

საგაზაფხულო შედეგებმა გამოამჟღავნა მრეწველობის კრიზისის კიდევ მეტი გარღმავება. მრეწველობის მთავარ დარგებში, როგორიცაა ფოლადის, რკინის, ავტომობილების მშენებლობა და ქვანახშირის მრეწველობა, პროდუქცია ამ 6 თვის განმავლობაში, 1930 წლის პირველი ნახევრის პროდუქციასთან შედარებით 30-40 პროცენტით შემცირდა. 1929 წელთან შედარებით ექსპორტი განახევრდა. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მილიარდ დოლარამდე ავიდა. რკინის გზების მეტი წილი, ტვირთის გადაზიდვის შემოკლებს გამო გაკოტრებს გზაზეა. ამავე დროს მრეწველობის ყველა დარგში გააფთრებული შეტევა სწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების შრომის ფედერაციის ცნობით, 1931 წელმა 1929 წელთან შედარებით, 5 მილიარდი დოლარით ნაკლები ხელფასი იქნა გაცემული,

უმუშევართა რიცხვი კი ჩრდილოეთ-ამერიკაში დღეს უკვე 12 მილიონამდე აღწევს. ამგვარად თითქმის ყველა ამერიკული ჟურნალის ტონი უიმედო და სასოწარკვეთილია.

ინგლისში გრძელდება ბრიტანეთის მსოფლიო ვაჭრობის დაცემა, რაც ბრიტანეთის სახელმწიფოს საერთო კრიზისს გვიჩვენებს. მიმდინარე წლის 5 თვეში საქონლის გატანა და შემოტანა 2 მილიარდი მანეთით შემცირდა წინა წელთან შედარებით. ქსოვილების და ფოლადის ვაჭრობა თითქმის 2-ჯერ შემოკლდა. მთელი მრეწველობის პროდუქცია 23 პროცენტით შემცირდა. უმუშევართა რაოდენობა მთელ სახელმწიფოში 2 მილ. 500 ათასამდე აღწევს. 1931 წლის პირველ 4 თვეში თითქმის 2 მილიონ მუშას დაუკლეს ხელფასი, რაც ყოველკვირეულად 1 მილ. 800 ათას მანეთის რაოდენობას უდრის. მწარმოებლების ასეთმა შეტევამ მუშათა კლასზე პროლეტარიატის კლასიური წინააღმდეგობა გამოიწვია: 4 თვის განმავლობაში მოხდა 134 გაფიცვა, რითაც ინგლისმა დაჰკარგა 5.205 ათასი სამუშაო დღე, 4-ჯერ მეტი წინა წელთან შედარებით.

ბრიტანეთის ეკონომიური სისტემის დამბლადაცემულობამ კრიზისის ასეთივე გამოხატულება ნახა ინგლისის კოლონიებშიაც.

ავსტრალიაში პურის ფასები 5 პროცენტით დაეცა, მატყლის — 60 პროცენტით. ეკონომიური კრიზისით თავბრუდახვეულმა ავსტრალიის მთავრობამ უარიც კი განუცხადა თავის ბატონს ინგლისს სესხის პროცენტების მიცემაზე. კანადაში ხორბლის სათესი ფართობი 30 პროცენტით შემცირდა. მარტოოდენ აპრილში კანადის საგარეო ვაჭრობა 40 მილ. დოლარით შემცირდა. უმუშევართა რაოდენობა სამრეწველო ცენტრებში 500 მილ. აღწევს.

ინდოეთში ექსპორტ-იმპორტის ბალანსი აპრილის თვეში 2 ნახევ. მილიარდ რუპიამდე (142 მილ. მანეთი) შემცირდა. ქვეყანა აგრარული კრიზისების ალშია. ბირმაში დღემდე გრძელდება მასიური აჯანყებები შემდეგი ლოზუნგით: „სჯობია ინგლისელების ტყვიით აღრე დავწყდეთ, ვიდრე სოფლებში ნელნელა შიმშილით დავიხოცოთ".

საფრანგეთში ეკონომიკის „მოცოცხლება" გასულ წელთან შედარებით ბირჟის ფასიანი ქაღალდების ფასის 40 პროცენტით დაცემაში გამოიხატებოდა. რკინის მრეწველობამ 400.000 ტონით დაიკლო. რკინის მადნმა—120 ათასით, ფოლადმა — 100 ათასი ტონით და რკინის გზების შემოსავალი მილიარდი ფრანკით შემცირდა. უმუშევართა რაოდენობა 3 მილ. კაცამდე აღწევს, შეუკავშირებელი მუშებიდან თუ ვიანგარიშებთ, რის გამოც საფრანგეთი ყოველკვირეულად ჰკარგავს 53 მილ. სამუშაო საათს და 750 მილიონი ფრანკის ღირებულებას თვეში. სენატორ ბოიეს აზრით, თუ შარშან საფრანგეთის ბიუჯეტის დეფიციტი 4 მილიარდ ფრანკს უდრიდა, წელს ის 13 მილიარდამდე ავიდა.

იტალია სამუშაო ხელფასის შემოკლების მხრივ უკანასკნელ საზღვრამდე მივიდა" — განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ მუსოლინმა. ხელფასის შემოკლება ამ განცხადების შემდეგ მაინც გრძელდება და, ცხადია, რომ კაპიტალისტებისთვის ამ მხრივ საზღვარი არ არსებობს. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 3 ნახევარ მილიარდი ლირით შემცირდა გასულ წელთან შედარებით.

იაპონი, საფრანგეთის მსგავსად, ყველაზე მეტად უმკლავდებოდა ეკონომიურ კრიზისს, მაგრამ უკანასკნელმა თვეებმა არც ეს ქვეყანა დასტოვა უყურადღებოდ. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 120 მილიონამდე ავიდა, იქ უმუშევართა 2 მილიონი კაცი.

ავსტრიის ფოლადის მრეწველობა 52 პროცენტით შემცირდა, უმუშევართა რაოდენობა კი 550 ათასამდე აღწევს, ვენგრიაში 62 პროცენტით შემცირდა, მუშევარია 400.000-მდე. ჩეხო-სლოვაკიის ფოლადის მრეწველობა 30 პროცენტით შემოკლდა, უმუშევარია 650 ათასამდე.

ჩინეთის გაზეთ „დაბეი-სინბაო"-ს ცნობით, გლეხობა შიმშილმა აიძულა თავისი პერანგის დაგირავებას მიმართოს. აქედან ცხადია, თუ რა მდგომარეობა არის ჩინეთში, რომლის მრეწველობის მთავარი წყარო —ბამბეულის ნაქსოვის წარმოება, წარმოუდგენელი კრიზისის ტალღებშია გახვეული. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 40 პროცენტამდე შემცირდა და მთელი მსხვილი ინდუსტრიის მუშაობა თითქმის ყველგან გაჩერებულია

მაგრამ ყველაზე უფრო მეტად ეკონომიური კრიზისის ციებ-ცხელება გერმანიასა და პოლონეთს აქვთ.



გერმანიაში საგაზაფხულო „გამოცოცხლებამ“, რომელსაც ბურჟუაზიული ეკონომისტები უცდიდენ, შეუჩერებლად გააგრძელა ეკონომიური კრიზისის უფსკრულისაკენ დაქანება. უმუშევრობის სტატისტიკა გვეუბნება, რომ გერმანიაში მოიპოვებოდა:

1929 წლის 1 ივნისს 1.489 ათასი უმუშევარი;

1930 წლის 1 ივნისს 2.691 ათასი უმუშევარი;

1931 წლის 1 ივნ. 4.096 ათასი უმუშევარი.

მომავალი ზამთრისათვის კი უკვე ელიან უმუშევრობის რაოდენობის 7 მილიონამდე გაზრდას.

ყოველთვიური ზარალი საექსპორტო-საიმპორტო ვაჭრობისა, 1929 წელთან შედარებით, მილიარდ მარკას უდრის, და ა.-წ. ივლისმა უკვე ყველასათვის აშკარა გადახა გერმანიის ფინანსიური სრული გაკოტრება, რაც აიძულებს დღეს გარმანიის ბურჟუაზიულ მთავრობას ზურგზე ხურჯინით იაროს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ფულის სასესხებლად. ვერავითარი ნასუფრალი ვერ გადაარჩენს გაძვალტყავებულ გერმანიას, გარდა სოციალისტური რევოლიუციისა, რომლის რაზმებიც დღითი-დღე იზრდებიან და იჭედებიან ლენინური კომპარტიის ხელმძღვანელობით.

პოლონეთის ეკონომიკა შეუჩერებლად მიექანება უფსკრულისაკენ. „მდგომარეობა მძიმეა, და ვინ იცის რით დამთავრდება“ — სწერს გაზეთი „პოლონია“, „მთავრობისადმი უკმაყოფილება საზღვრებს სცილდება. ქარხნების გაჩერება, მუშების მასიური დათხოვნა, გაფიცვები, პოლიციის ბრძოლა მუშებთან, რის შემდეგ ბრძოლის ველი მუშების გვამებით იფარება,—ყოველაფერი ეს წინასწარი გამაფრთხილებელი ნიშნებია“ — ამას წერს პოლონეთის ბურჟუაზიული გაზეთი. ასე სრულდება ბურჟუაზიული ეკონომისტების და მეცნიერების წინასწარმეტყველება კაპიტალისტური ქვეყნების სამეურნეო „აყვავებაზე“, რომლის სურათი ნათლად გადაიშალა მიმდინარე წლის 6 ოვის შედეგად.

— სადაა გამოსავალი? საბჭოთა ევროპა? განცვიფრებული გაიძახის გერმანეთის იმპერიალიზმის მედროში გაზ. „ბერლინერ ტაგებლატი“.

— დიახ, საბჭოთა ევროპა!—უპასუხებს გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე“. კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია: საბჭოთა ევროპა!

ანტისაბჭოთა ქოფაკებს ბრაზიან ყეფაში გაიევლებს ხანდახან უიმედობის ხმა; მათი საბჭოთა კავშირის საოცარი მიღწევები კი არ არწმუნებს, არამედ დარჩენილი გონების ნაწილსაც უმლვრევს.

— რუსეთი განადგურებს! — გულწასული წუწუნებს ფინეთის ფაშისტური გაზეთი “ვაბა მაა“,—თუ ჩვენ სადარაჯოზე ფხიზლად არ ვიქნებით.

ინგლისის ყველაზე უფრო გავრცელებულმა ჟურნალმა „ჯონბულ“-მა რამდენიმე თვის წინად ჩვენს ხუთ წლედზე მოათავსა ცნობილ ინგლისელ მოღვაწეთა ანკეტა, რომელშიც ყველა ერთხმად ამტკიცებდა ერთ უდავო მოვლენას: ხუთწლიანი გეგმის რეალურად შესრულების შესაძლებლობას და საბჭოთა კავშირის განვლილი პერიოდის გრანდიოზულ მიღწევებს სოციალისტური აღმშენებლობის დარგში.

თუ ჩვენს მიღწევებს ჩვენი მტრებიც კი აღიარებენ, ერთი მაინც ცხადია ყველასათვის, რომ 5 წლიანი გეგმა დიდი ხანია გახდა მთელი დასავლეთ ევროპის მშრომელთა კლასის სამობილიზაციო ლოზუნგად. ჩვენი ნავთის 5-წლედის 2ნახევარ წელს შესრულებამ შეარყია მთელი კაპიტალისტური სამყარო და პრაქტიკულად დაანახა ყველას ლოზუნგის—„დავეწიოთ და გავუსწროთ“ რეალურად განხორციელების შესაძლებლობა. აქაც ნაზგასმულია, რომ ასეთი პროცესი მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის მრეწველობის თითქმის ყველა დარგში.

ნავთის მოპოების დარგში 1930 წელს ჩვენ გავუსწარით უკვე ვენეცუელას და ერთად-ერთი მეტოქე მარტოოდენ ჩრდ.-ამერიკის შტატები დაგვრჩა. ამგვარად, ჩვენ ნავთის მოპოების მრეწველობაში მსოფლიოში მეორე ადგილი დავიკავეთ.

ქვანახშირის მოპოების დარგში 1927 წელს ჩვენ მე-7 ადგილი გვეჭირა მსოფლიოში, 1930 წელს კი გავუსწარით საფრანგეთს, პოლონეთს და იაპონიას. ამ წელს ჩვენ მოვიპოებთ 83.000 ათას ტონას და დავეწევით გერმანიას, მომავალ წელს კი უკვე მესამე ადგილს დავიკავებთ მსოფლიოში.

თუჯის და ფოლადის მრეწველობაში 1927 წელს მე-7 ადგილი გვეჭირა, 1931 წელს კი გავუსწარით ბელგიას, ინგლისს და დავეწიოთ და გაუსწროთ საფრანგეთ-გერმანიას. მომავალ 1932 წ. ჩვენ ამ უკანასკნელ სახელმწიფოსაც გავუსწორებთ და მეორე ადგილს დავიჭერთ მსოფლიოში (პირველი ამერიკაა). სპილენძის მრეწველობის დარგში ჩვენ მე-15 ადგილი გვეჭირა. 1931 წ. ჩვენ გავუსწორდით ყველა ქვეყანას (150 ათასი ტონა), გარდა ამერიკისა (850 ათასი ტონა) და ჩილისა (180 ათასი ტონა). სასოფლო სამეურნეო მანქანების მშენებლობაში ჩვენ უკვე მეორე ადგილი გვიჭირავს მსოფლიოში და 1931 წლის ბოლოს დავიკავებთ პირველ ადგილს და ამერიკაც უკან ჩამოგვრჩება. თუ კი ელექტრომრეწველობის დარგში ყველაზე ჩამორჩენილი ვიყავით—მეფის რუსეთის დროს, 1932 წ. ჩვენ დავიკავებთ მეორე ადგილს მსოფლიოში (ამერიკის შემდეგ). მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა ცემენტი და რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მაშტაბი, ჩვენ უკვე გავასწარით (5 მილ. 600 ათასით) ინგლისს, ბელგიას, გერმანიას და მესამე ადგილი დავიჭირეთ ვეწევით საფრანგეთს (9 მილ.) და ჩამოვრჩებით მარტოოდენ ამერიკას (30 მილ.).

საბჭოთა კავშირის ეს მიღწევები მნიშვნელოვანი მოვლენა არის იმ დროს, როდესაც მთელი კაპიტალისტური ქვეყნები ეკონომიური კრიზისის ალში იწვის, როდესაც მათი მრეწველობა თანდათან ეცემა და სავაჭრო ბრუნვა მცირდება, რაც მჭერმეტყველურად გვეუბნება იმ სისტემის დაძველებულობასა და მოხუცებაზე, რომელიც ეკუთვნის წარმავალ და დალუპვის გზაზე დამდგარ კლასს და ყოველდღიურად იზრდება ახალი ქვეყანა, რომელმაც უნდა შესცვალოს განადგურების ჩიხში მოქცეული სისტემა.

ვერავითარი „ბრძუნლი“ წინასწარმეტყველება ბურჟუაზიული მეცნიერებისა, ვერავითარი ლაქიური სამსახური მსოფლიო სოციალ-ფაშიზმისა და შიში და ტირილი ბებერი ბურჟუაზიისა ვერ იხსნის კაპიტალისტურ მსოფლიოს ეკონომიური კატასტროფისაგან, გარდა ძლევამოსილი პროლეტარულ რევოლიუციისა. ასეა დაპირისპირებული ორი ქვეყანა ძირმომპალი კაპიტალისტური ქვეყნები და პროლეტარული რევოლიუციის სამშობლო საბჭოთა სოციალისტური კავშირი.



პოლიტიკურ სკოლებს უნდა მივსცეთ საწარმოო ბაზა

პოლიტექნიკური სკოლა წარმოადგენს ერთ - ერთ მძლავრ საშუალებას, რომლის შემწეობით ვახდენთ ჩვენი ქვეყნის გარდაქმნას ახალ საფუძველზე. პოლიტექნიკურ სკოლაში საწარმოო შრომა და თეორიული სწავლება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. პოლიტექნიკური სკოლის პრინციპი უშუალოდ გამომდინარეობს საბჭოთა კავშირის სოციალისტური ეკონომიკისაგან. **საბჭოთა კავშირში სოციალისტური შრომა** თანდათან ხდება თვითეული მოქალაქის ყოველდღიურ მოთხოვნილებად.

ამიტომ შრომა საბჭოთა სკოლაში მჭიდროდ არის დაკავშირებული მოწაფეთა სწავლასა და აღზრდასთან, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელება პოლიტექნიკური სკოლის ძირითად საკითხს წარმოადგენს.

პოლიტეხნიკური სკოლა საწარმოო შრომას უშუალოდ უკავშირებს ბავშთა კომუნიტური აღზრდისა და განათლების სიტემას. ამიტომ პიონერ ორგანიზაციის, როგორც კომკავშირის საიმედო თანაშემწის, უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს მეცადინეობის სისტემაში ხელი შეუწყოს საწარმოო შრომის თვითეულ მეცადინეობასთან დაკავშირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში ადგილი აქვს პოლიტექნიზაციის იდეების დამახინჯებას. ამ დამახინჯებებს შორის უმთავრესად უნდა აღინიშნოს ის, რომ საწარმოო შრომას მექანიკურად უკავშირებენ მოწაფეთა თეორიულ განათლებას. ასეთ შემთხვევაში საწარმოო შრომა დამახინჯებულ სახეს იღებს და ყოველმხრივ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

საწარმოო პრაქტიკის გავლის ნაცვლად მოწაფეობას აზიტვინეს წვირი, ასუფთავებინეს ფაბრიკა - ქარხნების ეზოები, საამქროები და სხვა.

ეს ერთის მხრივ.

მეორეს მხრივ: აუარებელი მაგალითები მოიპოვება იმის დასადასტურებლად, რომ სკოლამ მთელი თავისი მუშაობა საწარმოო პრაქტიკას მოანდომა, ხოლო თეორიული სწავლება სრულიად დაივიწყა, ამან კი მეტად ცუდი გავლენა იქონია მოწაფეთა მასაზე—მათი თეორიული მომზადების დონე დაეცა.

ბრძოლა თვისებისათვის იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ მოწაფეთა საწარმოო აღზრდამ მოგვცეს უფრო საერთო და თეორიული ცოდნა. ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო ისეთი კადრი, რომელმაც უნდა იცოდეს ამა თუ იმ საწარმოო სამქროს სამუშაო პროცესები, არამედ ამ კადრს უნდა ჰქონდეს აგრეთვე საკმაოდ ცოდნა მექანიკაში, ფიზიკასა და ქმიაში, რომ ეს საწარმოო პროცესები დაწვრილებით გაიგოს.

ამიტომ, კომკავშირთან ერთად პიონერ - ორგანიზაციამ უნდა გააძლიეროს ბრძოლა პოლიტექნიზმის შეუფასებლობის წინააღმდეგ.

გარდა ამისა, სკოლების შეკეთებასა და მოწყობაში ჩვენ ძალიან მოვიხუსტებთ. ეს აიხსნება იმ გარემოებით. რომ სკოლებისათვის ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს სამრეწველო ბაზა, რომელიც სპეციალურად სკოლებისათვის ამზადებს საჭირო მასალებს.

ამ ფრონტზე პიონერ - ორგანიზაციას ბევრის გაკეთება შეუძლია. მოწაფეთა სახელოსნოებისა და ლაბორატორიების მოწყობის მიზნით, პიონერ - ორგანიზაციამ უნდა ჩაატარონ ფაბრიკა - ქარხნებში ახსნა-განმარტებითი მუშაობა. პიონერებმა უნდა შესძლონ საწარმოთა საალმშენებლო გეგმაში თავიანთ სკოლების შეტანაც.

შემდეგ: ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს პოლიტექნიკური სახელმძღვანელოების მხრით. უნდა ითქვას, რომ სკოლების პოლიტექნიზაციის ტემპებს არსებული პოლიტექნიკური სახელმძღვანელოები ვერ აკმაყოფილებენ.

ამას ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება. სკოლების პოლიტექნიზაციის ჩქარი ტემპები პირველ რიგში პოლიტექნიკურ სახელმძღვანელოებს მოითხოვს.

ჩვენი უმთავრესი ამოცანაა — მისცეთ პოლიტექნიკურ სკოლებს საწარმოო ბაზები. პიონერ - ორგანიზაციამ უნდა გააძლიეროს ბრძოლა პოლიტექნიზმის პრინციპების დამახინჯების წინააღმდეგ. უნდა გააძლიეროს ბრძოლა პოლიტექნიკური სკოლების საწარმოო მატერიალური ბაზისა, სააწრმოო შრომის სწორი ორგანიზაციისა და სწავლების თვისების გაუმჯობესებისათვის პოლიტექნიკურ სკოლებში.

აი, ასეთი ამოცანები გვესახება ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ.

კოლექტივი სამუშაოზე

ჩვენ მხოლოდ ერთი სამშობლო გვაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამოდენიმე დღის წინად ჩვენი ოჯახი საბჭოთა კავშირში დაბრუნდა ბერლინიდან, სადაც რამდენიმე თვე დავყავით.

ლორდ ასტორ და ბერნარდ შოუსთან ერთად თქვენ ჩამოხვედით საბჭოთა კავშირში, რათა დაგეთვალიერებინათ და გენახათ, თუ როგორ ცხოვრობს საბჭოთა კავშირის მოსახლეობა, იმ საბჭოთა კავშირის, რომლის „ბაშიროების" შესახებაც თქვენ გვიამბობდით ამ ორი წლის წინად ინგლისში.

როდესაც ჩვენ ინგლისი დავტოვეთ, მაშინ პატარები ვიყავით და ბევრი არაფერი გვესმოდა. თუმცა არც ეხლა ვართ დიდები, მაგრამ საბჭოთა სკოლა ყოველმხრივ ანვითარებს ბავშვ გონებას. ჩვენ ეხლა უკვე ვერკვევი პოლიტიკურ საკითხებში. გავიგეთ, თუ რატომ დადიან 6 — 8 თვის განმავლობაში უმუშევრად ჩვენი ინგლისელი ამხანაგების მამები და რატომ ბავშვები გერმანიაში და სხვა ქვეყნებში გაცვეთილი ფეხსაცმელებით დაიარებიან სკოლაში.

ლედი! თქვენ ჩვენ მამას მიეცით საშუალება, რომ საბჭოთა კავშირში გამოვმგზავრებულიყავით, ამიტომ საჭიროთ ვცნობთ მოგწეროთ, თუ რას ვაკეთებთ და როგორ ვცხოვრობთ აქ.

როგორც კი ჩავედით, მაშინვე მიგვიღეს სკოლაში და პიონერრებშიც ჩაგვრიცხეს.

ინგლისში ჩვენ ვსწავლობდით ბრევსტრიტის სახალხო სკოლაში, სადაც არა ერთხელ უცემიათ მასწავლებლებს დაგვიანების ან მოუსვლელობისათვის.

საბჭოთა კავშირში კი არ გვცემენ და ამ ხნის განმავლობაში არც მასწავლებლის და არც რუსი ამხანაგების მიერ საწყენი სიტყვაც კი არ გვსმენია.

როცა მამა ინგლისში მუშაობდა, ის თვეობით დადიოდა უმუშევრად. საბჭოთა კავშირში კი, როგორც თქვენ უკვე იცით, ჩამოსვლისთანავე მიიღეს სამსახურში. მამის სიკვდილის შემდეგ დედა მოაწყვეს სამსახურში, ჩვენ კი შვიდწლედის დამთავრების შემდეგ შევალთ სასწავლებლად და სამუშაოდ საქარხნო - საფაბრიკო სკოლაში

ლედი! როგორც უკვე მოგწერეთ, იმ დროს, როცა თქვენ ათვალიერებდით ჩვენ ქარხნებს, სკოლებს, კოლექტივებს და სოციალისტურ მშენებლობას, ამ დროს ჩვენ ვიყავით კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ვნახეთ უზარმაზარი ქალაქები, ორ ბანაკად გაყოფილი. სითბო და მაძღრობა, შიმშილი და სიღატაკე. იქ ჩვენ დედით და ბიძით გავჩერდით ერთი მუშა-კომუნისტის ოჯახი, რომელსაც ჰქონდა პატარა ოთახი, სადაც ჩვენს გარდა კიდევ ოთხი სული ცხოვრობდა. დილ - დილობით ჩაის და ხმელ პურს გარდა არაფერი გვქონდა საჭმელი. ჩვენი ამხანაგის მამამ (ჩვენი ამხანაგი საერთაშორისო პიონერების შეკრების დროს დელეგატად იყო საბჭოთა კავშირში გაგზავნილი) ხელფასის მიღების დროს მხოლოდ 5 მანეთი მიიღო (ჩვენ ფულზე) ერთი კვირის მუშაობაში. ამ ფასიანობაც, რომ იყოს მაინც ვერ იცხოვრებ.

ინგლისში გაზეთებში წავიკითხეთ თქვენი სიტყვები საბჭოთა კავშირის სკოლების შესახებ, სადაც ამბობთ, რომ ბავშვების აღზრდის საქმე ცუდად არის დაყენებული. ჩვენ არ გეთანხმებით, ლედი, და იმის და მიუხედავად, რომ პატარები და არა სრულწლოვანები ვართ, რომ შეგხვედროდით საბჭთა კავშირში, უსათუოდ წაგეჩხუბებოდით და დაგარწმუნებდით, რომ ეს საქმე აქ მშვენივრად არის დაყენებული.

თქვენ დაათვალიერეთ პიონერების ბანაკი, ასეთი ბანაკი ჩვენ ბევრი გვაქვს. მარტო ლენინგრადის ოლქიდან 50.000 მეტი ბავში ცხოვრობდა წელს პიონერთა ბანაკებში. ამას გარდა, ჯანმრთელობით სუსტ ბავშებს აგზავნიდენ ყირიმის სანატორიუმში (შარშან ჩვენც ვიყავით გაგზავნილი ყირიმში). ასობით საბავშო ბაღები, მოედნები, სახლები და კერები, — ყველა ეს იმყოფება მშრომელთა განკარგულებაში და ემსახურება პროლეტარიატის ბავშებს. **ეხლა ჩვენი სკოლის პოლიტექნიზაცია მიდის.** ეს სიტყვა უცხოა ინგლისელ მოსწავლეთათვის. ჩვენ მეცადინეობასთან ერთად, აბდაუბდის სწავლის მაგივრად, ვმუშაობთ საამქროებსა და ქარხნებში, ისე რომ სკოლიდან ცხოვრებისათვის მომზადებული გამოვალთ.

კარგი იქნებოდა, რომ ყოველივე ამის შესახებ თქვენ გეამბენათ მანდაური მცხოვრებლებისათვის და გეამბნათ ის სიმართლე, და არაშეთხზული „საშინელებანი".

როდესაც თქვენ დაათვალიერეთ ერთ - ერთი კოლმეურნეობა და შეეკითხეთ ყოფილ „უცხოელს" და ეხლა კოლმეურნე გლეხს, აპირებს თუ არა საზღვარგარეთ წასვლას მან გიპასუხათ: **„არასოდეს"**.

ჩვენც ვეთანხმებით ამ კოლმეურნეს. ჩვენ, ყოფილი უცხოელები, არასოდეს არ წავალთ მშრომელთა სამშობლოდან ოკან, კაპიტალისტურ ქვეყნებში. და არ წვალათ არა **იმიტომ**, რომ ჩვენი დედა არ წავა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ, პიონერებმა, მომავალმა კომკავშირლებმა და კოშუნისტებმა, ვიცით სად უნდა ვიცხოვროთ, ვიცით სად შეგვიძლია სწავლა და მუშაობა. გადაეცით ყველა მშრომელს, რომ იმითაც მიბაძონ ჩვენს მაგალითს, რადგან **მშრომელთ ერთი სამშობლო აქვთ — ეს არის საბჭოთა კავშირი.**



პიონერები ამზადებენ თვითმფრინავის მოდელს

სელიხოთის ღრეს

(ნაწყვეტი მოთხრობიდან „შემარიას უკანასკნელი სიტყვა*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შემოდგომაზე კოლმეურნეობაში ბუზები განსაკუთრებით მწვავედ იკბინებოდნენ.

მათ არ ჩამორჩებოდათ არც შემარია.

შემარია შაფთოშვილმა დიდი ხანია დაჰკარგა წონასწორობა.

მისი გზები თითქმის ყველა ამოწურული იყო და მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ცოფიან ძაღლივით დადიოდა სახლიდან ქუჩაში, ქუჩიდან სახლში. დუქნები დაჰკეტა და სამაგიეროდ უხშირა სალოცავში სიარულს, სადაც სრული საშუალება ჰქონდა ღმერთისათვის სამდურავი ეთქვა.

ამოსწურა ყვირილი, მუქარა, გინება.

ვერ გასჭრა რჯულით დაშინებამ და ათასმა კომბინაციამ.

კოლექტივი იზრდებოდა ყოველდღიურად.

იზრდებოდა მიუხედავად ხანძრისა, მიუხედავად გააფთრებული ბრძოლისა.

ერთი კვირით ხელი მიჰყო ქველმოქმედებას.

ამანაც ვერ მოიტანა შესაფერი ნაყოფი.

დადიოდა გაბოროტებული, რადგან არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ კოლექტიური ფორმის ცხოვრება გაიმარჯვებ და ამ ქვეყნად და კერძო საკუთრება წარსულს ჩაბარდებოდა.

შემარიას მთელი თავისი რასებით სწამდა, რომ, დღეს, იქნებოდა, თუ ხვალ, გამოჩნდებოდა რომელიღაც „მადლიერი“ ქარი, რომელიც შორს გასტყორცნიდა ამ უსიამოვნო „ხუჩულას“.

მაგრამ დრო მიდიოდა, კოლექტივი ძლიერდებოდა, ხოლო შემარიას გული ბოღმით და შხამით ივსებოდა.

სახლში თავის ჯავრს ცოლზე და ძმაზე იყრიდა ხოლმე.

არონ კრიხელმა ამ ბოლო დროს ძალიან უმატა ბუზღუნს:

— შამაშობა ვერ არჩენს ჩემს ცოლშვილს. შენ დამღუპე, კოლექტივიდან შენს გამო გამომრიცხეს, ოორემ ეხლა რა მიჭირდა. საუკეთესო მოსავალი მოსვლიათ და მთელი წლის სარჩო გაუნაწილებიათ.

— მერე, რა გნებავს, მათხოვარო? — ეკითხებოდა შემარია ბრაზით.

— იქნება ერთი ოცი მანეთი მომაშველო, ცოლშვილს ვუყიდო რამე...

შემარია მოჰყვებოდა გინებას. არავინ იცოდა, თუ წინადაც იყო მის ლექსიკონში ამდენი ,,მხამიანი სიტყვა.

მაგრამ არონ კრიხელი, მიუხედავად ამისა, დაჟინებით ითხოვდა ოც მანეთს. ითხოვდა. იცოდა: მიიღებდა.

იყო ერთი უთქმელი საგანი, რომელიც თავისთავად იგულისხმებოდა.

ეს იყო ამ ორის საიდუმლო.

შემარია იგინებოდა, მაგრამ ხანძრის შემდეგ მაინც ეშინოდა არონის, რომელიც „როგორც ლატაკი. სანდო არ იყო“.

არონმა მიიღო ოცი მანეთი.

და შემარია სამართლიანად ღელავდა. იცოდა, რომ ეს იყო მხოლოდ პირველი ოცი მანეთი, მაგრამ არა უკანასკნელი.

თავი ჯარასავით ტრიალებდა და **მუდამ** ელანდებოდა.

არონი, მიშაელი, კოლექტივი.

ახრჩობდა ფიქრები, ეჭვები, გეგმები.

იცოდა, რომ თევზი თავიდან უნდა აყროლებულიყო.

და ერთ საღამოს გადასწყვიტა.

ეს იყო ყარბითის ლოცვის დროს.

თებაზე *) იდგა შამაში არონ კრიუცნაურმა გრძნობამ გაუელვა შემარიას თვალებში და არონს ჩუმად ჩასჩურჩულა:

— ნაყარბითევს სახლში დაგიცდი.

არონმა იშოვა დრო, მოაგონა ცოლშვილის გაჭირვება და თავისი მოთხოვნილება ამჟამად ერთი თუმნით განსაზღვრა.

— ჰა, ხეთქე, მხოლოდ არ დაიგვიანო.

გადასცა ჩუმად და გარედ გამოვიდა.

ცა მოჭედილი იყო ვარსკვლავებით, და შემარიას მოეჩვენა, რომ ერთი მათგანი მას უცინოდა.

—:—

რუთსა და აბიშაის დიდი ხანია ეძინათ.

არ ეძინა შემარიას.

შემარია და არონი ჩაკეტილი იყვნენ პატარა ოთახში.

უცქერდნენ ერთმანეთს.

ზომავდენ ერთმანეთს.

ეშინოდათ ერთმანეთის.

შემარია ლაპარაკობდა აღელვებით, მაგრამ მისი სიტყვები უფრო დამაჯერებელი იყო, ვინაიდან მას ჰქონდა ფული.

სინათლე საგრძნობლად ჩაწეული იყო ოთახში და თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდენ.

ჩშირი იყო პაუზები.

— მაშ, შენ ამბობ, რომ იმათ გადასწყვიტეს ჩენს დუქნებში თავიანოი კანტორა მოაწყონ? ძალიან კარგი... თუ დასცალდათ, მალე სახლებშიაც შემომეპრებიან... მალე ცოლსაც წამართმევენ... მალე ბულვარის ტელეფონის ბოძზედაც ჩამომახრჩობენ...

— ცუდი დრო დადგა, შემარია.

— რას იზამ, თორის სიტყვა უნდა დავაყენოთ. თორაში სწერია: „აბა



*) აღნიშნულ წიგნს სცემს სახელგამი და ამ დღეებში გამოვა.

*) თება—სამლოცველო ტრიბუნა. ხელი, რომელიც აცხობდა მორწმუნეებს, რომ ამაღამიდან იწყებოდა სელიხოთის ლოცვები.

ლისარგეხა — აშქემ ვეარგეუ“. ხომ გესმის, რას ნიშნავს? არა? ეს ნიშნავს: ვინმე თუ მოდის შენს მოსაკლავად, დაასწარი და მოჰკალიო.

— ალბათ ეს არის სწორედ კლასობრივი ბრძოლა, მიშაელი რო ლაპარაკობს ხოლმე ასე ხშირად კრებებზე.

— კლასობრივი ბრძოლა! მე იმას ვაჩვენებ ბრძოლას! ამაღამავე გავასწორებთ საბოლოო ანგარიშს! მერე ვნახავთ უმაგისოდ რას იზამენ დანარჩენი თხები. რა ურქმევიათ? წინსვლა? დასჭირდებათ გადაარქვან: „უკანსვლა“.

შემარია წამოდგა, მიუახლოვდა არონს და მხარზე ხელი დაადო:

— ხომ გწამს, რომ მიშელი არის ჩვენი რჯულისა და ხალხის გამყიდველი? რომ ჩვენ ხალხს მაგისთანა მტერი არ ჰყოლია?

არონმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— მაშ შენ ამაღამ უნდა მოჰკლა მიშელი.

არონი გაფითრდა და ენა დაება.

— რა გეშინია, შე ჩერჩეტო? ვერავინ ვერ გაიგებს. ეს საქმეც ისე სუფთად ჩაივლის, როგორც შარშან. მე ყველაფერი მოფიქრებული მაქვს, ყოველი ჩემი ნაბიჯი წინასწარ გამოზომილია.

არონმა ძლივს წაილუღლუღა:

— ჩემს სიცოცხლეში კაცისათვის ხელი არ მიხლია. ნუ დაიდებ ჩემი და ჩემი ცოლშვილის საცოდაობას, ნუ გამხვევ ამ საქმეში.

შემარია აინთო სახეზე:

— ჩვენი შარშანდელი პირობა დაგავიწყდა? რამდენი ნისია შეგარჩინე, რამდენი სხვა ფული მოგეცი! ეხლაც კარგად დაგასაჩუქრებ. მიშაელს რომ მოჰკლავ, ორას მანეთს მოგცემ.

არონი ჩუმად იყო. შემარიამ მისი სიჩუმე თანხმობის ნიშნად მიიღო და განაგრძო:

— გეგმა სულ უბრალოა. ეხლა ღამის თორმეტია. ეს უნდა მოხდეს სამი საათის შემდეგ, როდესაც ჩამოივლი სელიხოთისათვის. ერთხელ ორჯელ დაიძახებ აგრეთვე „მიშელ სელიხოთი“ და შემდეგ შეიპარები მიშაელის ეზოში. მიშაელს ყოველთვის აივანზე სძინავს და მაგარი ძილი იცის. სახლის კარი ყოველთვის გამოხურული აქვს და შიგ მყოფნი ვერაფეოს ვერ გაიგებენ. ‘ჭენ გექნება უბეში ხანჯალი, რომელსაც ჩაჭკრავ რამდენიმეჯერ მუცელში და თავში. შემდეგ, თითქოს არაფერი მომხდარა, გადახვალ სხვა ქუჩაზე და დაიწყებ ისევ ხალხის გაღვიძებას სელიხოთისათვის. ხანჯალი კი მიშაელის აივანზე უნდა დააგდო. აი ხანჯალიც.

ამ სიტყვებთან ერთად შემარიამ გამოაღო მაგიდის ყუთი, გამოიღო ვერცხლისტარიანი ხანჯალი და არონს გადასცა.

არონს ხანჯლის დანახვაზე გააჟეჟოლა, შემარიამ კი ჩუმად გაიღიმა. ხმის ამოუღებლად წამოდგა არონი, ხანჯალი ჩოხის უბეში ამოიდო და კარისაკენ გაეშურა.

— სელიხოთის დროს უნდა მოხდეს ეს ამბავი, — სთქვა შემარიამ, და არონმაც მისდა უნებურად გაიმეორა:

— სელიხოთის დროს...

გეგმა გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ეს შეეძლო არონს წარმოედგინა და ეფიქრა.

მთელ უბანში ორ ადამიანს არ სძინებია მთელი ღამის განმავლობაში: შემარია შაფთოშვილს და არონ კრიხელს.

სამი საათი რჩებოდა გეგმის შესრულებამდე.

არონმა რატომღაც გადახედა თავის მძინარეიცოლშვილს და ცრემლები წამოუვიდა.

ვერ გაუძლო მათ ცქერას და გარეთ გამოვიდა.

სასტიკად გაცივდა, როდესაც კედარ დაინახა ვარსკვლავებით მოკაშკაშე ცა.

შავი ღრუბელი მოიწევდა სამხრეთიდან უჩვეულო სიჩქარით და უჩინარ სიბნელეს ამყარებდა მთელ არემარეში.

უბეში ხანჯალს გრძნობდა.

უსიამოვნო გრძნობა გულს უსერავდა.

ძლივს მოუყარა ფიქრებს თავი:

„რა დაუშავებია ჩემთვის მიშაელს? კოლექტივიდან გამომრიცხა... მაგრამ ვინ ამაცდინა სწორ გზას? შემარიამ. ოჰ, შემარია, შემარია.. შენ, რომ არა, მეც ხომ ეხლა პატიოსანი კოლმეურნე ვიქნებოდი!“

თვალწინ წამოუდგა მიშაელს ცისფერი თვალები.

„ალალ-მართალ ბიჭია... თვალთმაქცობილი, მაგრამ ლარიბების მომბაგეა... ბევრი კარგი მუძღვის ჩვენი ხალხისათვის“.

და უცბად შეეკითხა თავის თავს,

„სადაური კაცის მკვლელი ხარ, არონ კრიხელო? ქათმის სისხლს არ შეგიძლია უცქირო დამშვიდებით და შენ შეძლებ მიშაელის მოკვლას?“

და თვითონვე უპასუხა:

„არა, შენ ამას არ ჩაიდენ. არც შეგიძლია და არც უნდა ჩაიდინო. პირიქით, გააღვიძე მიშაელი და გულახდილად უთხარი ყველაფერი... უთხარი მოკვლის ამბავი... უთხარი შარშანდელი ცეცხლის ამბავი... ის გულდაშნელი ცეცხლის ამბავი... ის გულკეთილია და ყველაფერს გაპატიებს... შეიძლება, ვინ იცის... დასთანხმდეს ხელახლად კოლექტივში მიგიღოს“...

გამოერკვა. არ იცოდა რომელი საათი იყო და მოულოდნელად არემარე გააყრუა მისმა ძახილმა:

—სე-ლი-ხო-თი ლოც-ვა!

— ჯა-მა-თო, ლოცვა!

— ხალ-ხო, ლოც-ვა!

— მორ-დე-ხა, ლოც-ვა! ხა-ნა-ნი-ა. ლოც-ვა! შე-მა-რი-ა ლოც-ვა-ა-ა-ა...

პირველად შემარიამ გაიგონა მისი ძახილი და გიჟივით წამოვარდა თავისი სკამიდან, რომელშიდაც იჯდა და გულს ფანცქალით ელოდა ამ ხმას. დახედა საათს. და გაუკვირდა: ჯერ კიდევ ორი არ იყო.

„რამ გააგიჟა ის ოჯახ დასაქცევი“ — გაიფიქრა, მაგრამ იქავ მოაგონდა, რომ აღარცერთი წუთის დაყოვნება არ შეიძლებოდა, სასწრაფოდ შევარ-



ბაკოს ინტერნაციონალური სახელო სახლი. ბავშვები ცეკვავენ

და იმ ოთახში, სადაც მის ძმას ეძინა, და წამოაგდო ლოგინიდან.

— ჩქარა აბიშაი

— უკვე?

—ჰო, ჩქარა. დაიჭი შენი კომბალი და სდიე ფეხდაფეხ. თუ არ მოჰკლას, იმის აივანთან დაუშვი თავში არონს ისე მაგრად, რომ გონება დაჰკარგოს. ხანჯალი მარჯვენა უბეში აქვს, საჩქაროდ ამოაძვრე და ბოლო მოუღე. შემდეგ ხნჯალი დაადგდე მის გვერდით, შენ გავარდი სხვა ქუჩაზე და გამოცვლილი ხმით დაიკივლე ისე, როგორც მე დაგარიგე.

„ეხლა კი ორივეს გადავრჩები“ — გაუელვა სიხარულით შემარიას.

აბიშაი გამოეხვია დახეულ ფარაჯაში, ხელში აიღო კომბალი და გავარდა. კიბე ჩუმათ ჩაირბინა, მხოლოდ ჭიშკარი არ გამოაღო, აცოცდა გალავანზე და ისე გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს.

შემარია იდგა ფანჯარასთან და ცდილობდა რამის გარჩევას, მაგრამ ამაოდ: საშინელი სიბნელე იდგა.

არონი კი ამ დროს უახლოვდებოდა მიშაელის ქოხს და ერთხელ ორჯელ დაიძახა შეპირებისამებრ:

— მიშაელ. სელიხოთი, ლოცვა.

და მიუახლოვდა აივანს.

მიშაელის სახის გარჩევა არ შეიძლებოდა, მაგრამ საგრძნობი იყო სწორი სუნთქვა და ორმა ძილი.

— მიშაელ! მიშაელ! — დაუწყო ნელა გაღვიძება არონმა.

ვერც კი გრძნობდა, რომ ამ დროს მის უკან იდგა საეჭვო ჩრდილი, რომელიც მალე დარწმუნდა, რომ არონი მხოლოდ აღვიძებდა მიშაელს.

აბაშაიამ თავის მსხვერპლს მთელი თავისი ძალლონით დასცხო თავში უზარმაზარი კომბალი.

არონმა საზარლად შეჰკივლა და გონებადაკარგული წაიქცა პირაღმა აივნის მოაჯირზე. ამის შემდეგ ხანჯლის ჭრილობები მას აღარც კი უგვრძნია.

არონის კივილზე გაეღვიძა მიშაელს, რომელიც საჩქაროდ წამოვარდა და თავით დაეტაკა არონის უსულო სახეს.

მიშაელი ჯერ ვერც გამორკვეულიყო, თუ რა მოხდა, რომ ამ დროს მას მოსმა ვიღაცას შორეული ხმა:

—კაცი მოჰკლეს! მოჰკ...ლეს...

ამ ხმას უკვე მოჰყვა შემდეგ:

— მიშაელმა მოჰკლა შამაში!

— ჯამაათო, შამაში მოგვიკლეს!

ერონ ხრიკელი მოუკლავთ!

— კოლექტივის თავმჯდომარეს კაცი მოუკლავს!

—სინათლე, სინათლე, ჩქარა!

მიშაელის აივანთან ელვის სისწრაფით შეგროვდა სალოცავისაკენ მიმავალი ხალხი, რომელთაც სინათლის შუქზე წარმოუდგათ საშინელი სურათი: მიშაელ თეთრუაშვილი იდგა გასისხლიანებული და ცალ ხელით ღრმად შემოხვეოდა არონ კრიხელის უსულო სახეს.

მოულოდნელობისაგან დაბნეული მიშაელი ხმას ვერ იღებდა.

აოცებდა მამამისეული ვერცხლისტარიანი ხანჯალი, დასისხლული ლაქებით, რომელიც მის ფეხ ქვეშ ეგდო.

ხაიმი და ზილფა შეშინებული იცქირებოდენ აქეთ-იქით.

აირია ყველაფერი.

ვიღაცა ჰკიოდა, ვიღაცა ტიროდა, ვიღაცა ყვიროდა.

და ითქოს ბურანში, ესმოდა მიშაელს, რომ ერთი უხსნიდა მეორეს მოშხდარ ამბავს შემდეგნაირად:

— თურმე იმისათვის მოუკლავს, რაზე ფალვიეს, ხომ იცი, რჯული აღარა მწამსო...

საექიმო ექსპერტიზის დასკვნით, არონის მკვლელობაში გარდა ხანჯლისა, ნახმარი იყო აგრეთვე დიდი ჯოხი, რომლითაც თავი ჰქონდა განსვენებულს დაჟეჟილი.

ასეთი „დიდი ჯოხის“ კვალს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს.

სერგოსათვის ეს იყო პირველი ბუნდოვანი საბუთი მიშაელის სასარგებლოდ, რადგან იმავე დასკვნაში იყო თქმული, რომ დაკვრა უკანიდან მოხდა. არ შეიძლებოდა ერთსა და იმავე დროს ორივე მხარიდან მდგარიყო მიშაელი.

იგი ჩამოდიოდა გამომძიებლის კამერიდან, რომ ამ დროს მოესმა ხმაურობა და უცნაური მოძრაობა ქუჩაში.

გაიხედა პირდაპირ და გაარჩია კოლექტივის წევრები, რომელთაც გაჩქარებული წინ მოუძღოდათ ბებერი იონა.

— ამხანაგ სერგოს სალამი! — შესძახა იონამ.

— სალამი, ამხანაგებო! რა ამბავია?

— მიშაელი მართალია. მიშაელი არაა დამნაშავე. გაანთავისუფლეთ მიშაელი! — ამბობდა ბებერი იონა.

— გაათავისუ,ლეთ მიშაელი! — ბანს აძლევდენ სხვებიც, შეუგნებლად.

— კი, მაგრამ, ამხანაგო იონა, ასე ზეპირად როგორ შეიძლება? აქ საბუთია საჭირო.

—საბუთი მემაქვს. მაჩვენეთ ხანჯალი. სერგო იაშვილმა შეიყვანა ბებერი იონა გამომძიებლის კაბინეტში. გამომძიებელმა უჩვენა ხანჯალი.

გულის ფანცქალით ელოდენ, რას იტყოდა მოხუცი მოწმე.

— ეს არის... — დაადასტურა.

— რა ამბავია აგვიხსენი, — მიმართა გამომძიებელმა.

— ერთი წლის წინად მე ვიყავი სალოცავის შამაში. ყოველნაირად კლანჭებში ვყავდი ჩაჭერილი. მომაპარვინა ეს ხანჯალი. რა ვიცოდი, რისთვის უნდოდა. დააპატიმრეთ, ეხლავე დააპატიმრეთ, დანარჩენი მერე გამოჩნდება, — თითქოს ყიჟირით დაამთავრა ბებერმა იონამ.

— ვინ უნდა დავაპატიმროთ, კაცო, აღარ იტყვი?

— როგორ არ გესმით ვინ? შემარია შაფთოშვილი.

კიბე, აივანი და ფანჯარა გარშემორტყმული იყო კოლმეურნეებით. მათ ყური მოჰკრეს ბებერი იონას ლაპარაკს და სტიქიურად, მოულოდნელად შესძახეს:

— დააპატიმრეთ შემარია შაფთოშვილი.

— დააპატიმრეთ საჩქაროდ!

— — ი, ზდზ-ნსთშ- ლბთ ლბთრმნ

და შევარდენ გამომძიბლის ოთახში, სადაც განაგრძეს:

— იგი უძმოდ ამას ვერ მოახერხე-

— იგი უძმოდ ამას ვერ მოახერხებდაია!

— დაიჭირეთ ორივე ძმა!

— დააპატიმრეთ შაფთოშვილები!

— ერთხელ და სამუდამოდ გადაგვარჩინეთ მაგ სისხლის მწოვს!

ბებერი იონას ბოლი მაგრად სცემდა. კოლმეურნეებს თვალები უბრწყინავდათ. სერგო იდგა ბედნიერებით გაბრუებული. საიდლანაც გაჩნდენ ხაიმი და ზილფა.

გამომძიებელი სწერდა დადგენილებას შემარიასა და მისი ძმის დაპატიმრების შესახებ.

— თქვენ გაიგონეთ, ბრალდებულო შავთოშვილო, რაც სთქვა თქვენმა ძმამ. მოახსენეთ სასამართლოს, რისთვის მოჰკალით არონ კრიხელი?

— იმან ჩემი დავალებით შარშახ დასწვა კოლექტივის შენობები.

— გეშინოდათ, რომ არ გაემხილეთ და ამიტომ გადასწყვიტეთ ორი კურდღელი დაგეჭირათ ერთად: ერთი მოგეკლათ, მეორე კი ციხეში ჩაგილპოთ, რის შემდეგაც კოლექტივი უნდა დარღვეულიყო, არა?

—დიახ, ასე ვფიქრობდი.

შურისძიების გრძნობით იყო აღვსილი კოლმეურნეთა თვალები.

სასამართლოს დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

წინა რიგებში ისხდენ „წინსვლა“-ს წევრები. შუაში ჩაესვათ საყვარელი თავმჯდომარე მიშაელ თეთრუაშვილი, რომელსაც ამჟამად სიზმარივით ეჩვენებოდა თავს გადავლილი ამბები.

პროცესი საზოგადოებრივ - საჩვენებელი იყო.

ბრალდებულების დაკითხვის შემდეგ მოწმეების დაკითხვა მიზანშეწონილად იქნა ცნობილი.

დაიწყო მხარეთა კამათი.

ილაპარაკა საზოგადოერივმა ბრალდებულმა სერგო, იაშვილმა, რომელსაც დარბაზი არაჩვეულებრივი დაჭიმული ყურადღებით უსმენდა.

მის მოთხოვნას — შემახიას უმაღლესი სასჯელი დასჯას და მთელი ქონების კონფისკაციასო. ძთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

შემარიას ძმისათვის, რომელიც ამ საქმეში ბრმა იარაღის როლს ასრულებდა, არ სცნო მიზანშეწონილად უმაღლესი სასჯელის შეფარდება და მოითხოვა მისი რვა წლით იზოლიაცია საქართველოს ფარგლებიდან გადასახლებით.

ილაპარაკეს აგრეთვე დამცველებმა, რომლებმაც მოითხოვეს სასჯელის დაახლოებითი შემცირება.

მათი ლაპარაკი იყო არადამაჯერებელი, ფერმკრთალი, უხერხემლო.

შემარია და მისი ძმა გარშემორტყმული იყვნენ წითელი არმიელებით.

შემარია იდგა გაყვითლებული. ცხელში წვერი გაზრდილა, თვალს აღარ ჭუტავდა ჩვეულებრივად, ხოლო ტუჩებზე ღრმად აჩნდა კბილების ნაკვალევი.

აბიშაი უაზროდ იცქირებოდა, მიუხედავად შეღამებისა.

შემარიას აღარ აინტერესებდა პროცესის მსვლელობა და ღრმა ჩაფიქრებით სუოდა მივაღწიეიყო თუ როგორ მოხდა, რომ იგი დამარცხდა და „ახლად გამოჩეკილმა ბარტყმა“ გაიმარჯვა.

უცებ თვალი მოჰკრა მიშაელს; უნდოდა იცქირა, მაგრამ ვერ შესძლო, ველარ გაუსწორა თვალი და სასამართლოს კენ მიბრუნდა.

სასამართოლს შემადგენლობა არაფერს კარგს არ უქადდა შემარიას. მათ სახეზე უკვე წაკითხული ჰქონდა უსიამოვნო განაჩენი.

დაენანა სიცოცხლე. მაგრამ იცოდა: წააგო.

ეგონა, რომ უკვე სიკვდილის პირას იდგა და ვიღაც შორი ქვეყნიდან მას ეუბნებოდა:

— ბრალდებულო შემარია შაფთო შვილო! ვიდრე სასამართლო გავიდოდეს განაჩენის გამოსატანად, გეძლევათ უკანასკნელი სიტყვა.

შემარია უსიამოვნოდ შეინძრა, თვალი მოავლო მთელ დარბაზს, რომელიც სმენად იყო გადაქცეული, და ოდნავ გასაგონი ხმით, რომლითაც თვითვე გამოუტანა თავის თავს განაჩენი, ძლივს წარმოსთქვა:

—კოლექტივი იმაჯვებს.

გერცელ ბააზოვი

ამერიკაში იზრდება უმუშევრობა

ამერიკელი ფაშისტები და ზანგები.

საშინელ პირობებში უხდებათ ცხოვრება ამერიკაში ზანგებს.

დღედაღამეში 12-13 საათს შრომობენ და ხელფასს მხოლოდ იმდენს იღებენ, რომ სიმშილით არ გაწყდენ.

თეთრკანიან მუშებს, მართალია, ავიწროებენ ამერიკაში, მაგრამ პლანტაციებში მომუშავე ზანგები კი ნამდვილი ყმები არიან. პლანტაციის პატრონს შეუძლია სულ უბრალო რაიმეს გულისთვის მოჰკლას ზანგი, და ის პასუხს არ აგებს. ზანგი, ამერიკელების აზრით, ადამიანი არ არის. თუ ზანგმა სცადა პროტესტის გამოცხადება, მას საპყრობელოში უკრავენ თავს.

მაგრამ ბრძოლა არ წყდება.

პლანტაციებში არის კომკავშირის უჯრედი. მისი მდივანი თქვენს წინაშეა.

ამ მდივანს მუდამ ელის საშინელი საფრთხე: შეუძლიათ მას შარი მოსდონ, დააბრალონ ქურდობა, ან კაცის მოკვლა, და მაშინ სასამართლო მას ან მუდმივ კატორღას მიუსჯის, ან ელექტრო სკამზე დასვამს. ამერიკელ ფაშისტებს შეუძლიათ გაუსამართლებლად ჩამოახრჩონ ის, მაგრამ კომკავშირის უჯრედის მდივანი მაინც იღიმება—ის ყოჩაღი ყმაწვილია.

დღეს მე არ ვჭამ, ჩემი რიგი არ არის

უცნაური ქვეყანაა შეერთებული შტატები: იქ მილიონერ -მილიარდელებიც უმწეო მდგომარეობაში არიან: მათ საწყობებში უფრიალებელ სურსათ-სანოვაგეა, მათ ... იციან როგორ გაასაღონ ხორბალი, ხორცი, რძე და სხვა სანოვაგე და, რომ ძალიან არ გაიაფდეს სხვადასხვა ნაწამოებები, ისინი მდინარეში აღვრევინებენ რძეს, სწვავენ ხორბალს, აფუჭებენ ხორცს, ამ დროს კი მრავალი უმუშევარი სიმშილით კვდება.

მოუსმინოთ გერმანულ ჟურნალს „ტაგებუს“:

„აი უმუშევრის ოჯახი უმდიდრეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შტატ მირზონტში. უკვე შვიდი თვეა, რაც მამა სამუშაოს ეძებს, მაგრამ ამაოდ. მათ ყველაფერი გაჰყიდეს. დედამ და სამმა პატარა ბავშმა გაიმეტეს მთელი ოჯახის საყვარელი ძაღლი და...შეჭამეს“.

„მუშა ზანგმა იუნგსტონში, ოგაიოტს შტატში, როგორც იქნა, იშოვნა სამუშაო, „გაბედნიერდა“—ის ისევ მიიღეს ქარხანაში, მაგრამ პირველ დღესვე წაიქცა დაზგასთან და მოკვდა: ხანგრძლივ შიმშილობას სულ გამოეფიტა იგი“

„მოწაფეს გული შეუწუხდა. მასწავლებელმა ქალმა მოასულიერა ის და ჰკითხა —რა მოვგვიდაო.

—არაფერია ,—უპასუხა გოგონამ,—ძალიან მშია...

— მაშ ახლავე წადი და შეჭამე რამე.

—არ ღირს, —უპასუხა განაწამებმა გოგონამ,— დღეს მე როდი ვჭამ, ჩემი რიგი არ არის, დღეს ჩემი და სჭამს“.

ჩაის კრეფა ჩაქვში

ამხანაგო პიონერებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამბის კრეფა ყარაის ველზე

საქართველოს პიონერთა ორგანიზაცია ახალგაზრდული ენტუზიაზმით ჩაება სოფლის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში.

ტეხნიკური დამარცვლოვანი კულტურებისათვის მრავალი ათეული და ასეული ჰექტარი მიწის დამუშავება, უვარგისი მიწების გაწმენდა, ჩაისათვის ჯოხების დამზადება, წვრილფეხა და ახალგაზრდა საქონლის შეფად დადგომა, მრავალი ასეული ფუთი ბალახის დამზადება, ძოსავლის აღება, ფართო მასიური კულტურული მუშაობის წარმოება გლეხებს შორის და სხვა, — აი, რა უდიდესი საქმე გააკეთა პიონერთა ორგანიზაცია, აი, როგორ იბრძვიან პიონერები სოციალიზმისათვის. შავრამ ეს კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ეს მხოლოდ ამ დიდ საქმის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ჩატარა პიონერ-ორგანიზაციამ კომკავშირთან ერთად ქვეყნის სოციალურნეო კეთილდღეობისათვის.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პიონერ - ორგანიზაციები ერთნაირად არ იყვნენ ჩაბმული ამ საქმეში; ჩატარებული მუშაობის მიხედვით შეგვიძლია სამ წყებად **დავყოთ პიონერ- ორგანიზაციები:**

პირველნი — რომლებმაც შესძლეს საკავშირო ესტაფეტის ძირითადი საკითხების შესრულება და გეგმების დაყვანა თვითეულ პიონერამდე და მათ მშენებლობამდე, შესძლოს სამეურნეო ორგანიზაციებთან სათანადო ხელშეკრულებების ღებდება, რაიშტაბისათვის სამუშაო გეგმის შედგენა, მთელი საზოგადოებრივობის ყურადღების მობილიზაცია საკოლმეურნეო ესტაფეტის ირგვლივ.

ამ მხრივ უნდა აღინიშნონ კასპისა და სტალინისის რაიონების პიონერები.

მეორე წყება — ეს ის რაიორგანიზაციებია, რომლებმაც მეტად სუსტი მონაწილეობა მიიღეს საკოლმეურნეო ესტაფეტის ჩატარებაში. როგორც გამორკვა, ეს აიხსნება ამით, რომ რაიბიუროების ხელმძღვანელები ხშირად იცვლებოდენ, რის გამო ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობა სუსტდებოდა. ასეთია ამბროლაურისა და ონის რაიონები.

მესამე წყებას ეკუთვნიან ის რაიონები, რომლებმაც სრული უმოქმედობა გამოიჩინეს საკოლმეურნეო ესტაფეტის ჩატარების საქმეში.

ასეთი რაიონებია: ზემო-სვანეთი, აღბულაღი, ახალქალაქი და სხვა. ამ რაიონებისაგან დღემდე არავითარი ცნობები არ მიგვიღია მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

საკოლმეურნეო ესტაფეტა მჭიდროთ იყო დაკავშირებული საგაზაფხულო თესვასა, მოსავლის დაცვასა და მის აღებასთან. როგორც დავინახეთ, ამ სამეურნეო-პოლიტიკური სიათის ამოცანების რაიონები უმთავრესად სუსტად ასრულებდენ. ეს საუკეთესოდ გამოააშკარავა ამასწინად ჩატარებულმა კონფერენციებმა.

კონფერენციებზე დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისიძებანი, რომელიც ავალებს ყველა რაიბიუროს, პიონერთა ორგანიზაციებს და, კერძოდ, ჩამორჩენილ ორგანიზაციებს ფართოდ გაშალონ მუშაობა ამ ამოცანათა შესასრულებლად. ამიტომ ჩამორჩენილი რაიონები კარგად უნდა გაეცნონ მუშაობის იმ ფორმებსა და მეთოდებს, რომელიც გამოყენებული ჰქონდათ მოწინავე რაიონებს.

თუ საკოლმეურნეო ესტაფეტის განვლილ სამ პერიოდს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გაცილებით უფრო მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო ესტაფეტის უკანასკნელ პერიოდს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ საკოლმეურნეო ესტაფეტის უკანასკნელ პერიოდთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საშემოდგომო თესვა. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ყველა იმ ჩამორჩენის ლიკვიდაცია, რომელიც ცალკე რაიონებს ახასიათებს. საჭიროა აქედანვე გავშალოთ ახსნა - განმარტებითი მუშაობა, საჭიროა დავათვალიეროთ მანქანა - იარაღები მათი შემოწმების შეკეთების მიზნით. პიონერებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დაზიანებული მანქანების შეკეთებაში, თესლის შერჩევაში, თესვაში და სხვა. პიონერები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეებს სადილის მიტანაში, ბავშვების მოვლაში, მანქანების გასუფთავებაში, მუშა - საქონლისათვის საკვების მიტანაში და სხვა.

ამავე დროს პიონერებმა თავის სიმაღლეზე უნდა დააყენონ გლეხობაში ჟურნალ - გაზეთების ხმამაღლა კითხვა, გაზეთის მიტანა ადგილებზე და სხვა.

გარდა ამისა, პიონერებმა უნდა იზრუნონ საბავშო არტელების ჩამოყალიბებისათვის. ამ მიზნით უნდა დაამუშაონ მიწები საცდელ - საჩვენებელი წესით. პიონერებმა ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩააბან ბავშთა ძირითადი მასა.

ამ ამოცანათა განხორციელებას ადგილობრივი პიონერ - ორგანიზაციები ახლავე უნდა შეუდგენ.

პიონერორგანიზაციის მორიგი ამოცანები

ჩვენი დღევანდელი საუბარი ეხება ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის ა.-კ. ბიუროს პლენუმის მნიშვნელობას და იმ ამოცანებს, რომელნიც დგანან პიონერ ორგანიზაციის წინაშე პლენუმისათვის მზადებასთან დაკავირებით. ა. -კ. ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის პლენუმი მოწვეულია ა. წ. 10 ოქტომბერს.

რა ამოცანები დგას პლენუმის წინაშე, რა უნდა გავაკეთოთ, პლენუმთან დაკავშირებით, პიონერ-ბაზებში, რაზმებში, რგოლებსა და მოედნებში? რა ევალება თვითეულ ჩვენთაგანს? პლენუმი თავის ძირითად ამოცანად ისახავს —ჯამი გაუკეთოს იმას, თუ რამდენად არის შესრულებული საკ. ა. ლ. კ. კავშირის მე-9 ყრილობისა და ა. -კ. ა. ლ. კ. კავშირის მე-6 ყრილობის ძირითადი გადაწყვეტილებანი.

პლენუმმა უნდა გამოარკვიოს ის მიღწევები და ჩამორჩენები, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენი ორგანიზაციის მუშაობაში, ხოლო შემდეგ პარტიისა და კ. კ. კავშირის გადაწყვეტილებათა საფუძველზე დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ჩვენი ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისათვის.

თავის სხდომებზე პლენუმი გაარკვევს ორ ძირითად საკითხს. პირველი საკითხი —ეს არის ა. კ. სოფლის პიონერ - ორგნნიზაციის მდგომარეობა და მისი მუშაობის ძირითადი ამოცანები. მეორე საკითხია —ა. კ. საწარმოო რაიონების პიონერ - რაზმებისა და სკოლების ორგანიზაციული გადაჯგუფება.

პლენუმისათვის მზადიბასთან დაკავშირებით ოვითეულ ჩვენგანს ბევრი რამ ევალება.

ჩვენ უნდა შევამოწმოთ ჩვენი მუშაობა, ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რა სახის დახმარებას უწევთ პარტიასა და კომკავშირს დასახულ ღონისძიებათა გატარების საქმეში, როგორ დავრაზმეთ პიონერ ორგანიზაციების ირგვლივ მშრომელთა შვილები, როგორ ვიბრძვით იმ ამოცანათა განსახორციელებლად, რომელიც დაგვისახა საკ. ალკკ მე-9 და ა. კ. ა. ლ. კ. კ. მე-6 ყრილობამ.

საკ. კ. პ.(ბ) ცეკამ მტკიცე დადგენილება გამოიტანა სკოლების შესახებ. ამ დადგენილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა სკოლების პოლიტეხნიკურ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში.

ეს დადგენილება წარმოადგენს პიონერ - ორგანიზაციების მუშაობის პროგრამას.

განიზაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს --სკოლების პოლიტექნიზრმოადგენს —სკოლების პოლიტექნიზაციის ფრონტზე ჯამი გაუკეთოს ჩატარებულ მუშაობას და პლენუმს წარუდგინოს ვრცელი პატაკი.

თვითეულმა პიონერ-რაზმმა ახლავე უნდა გამოჰყოს თვითშემმოწმებელი ბრიგადა. ამ ბრიგადის პიონერ-რაზმი აქედანვე უნდა შეუდგეს იმ მუშაობის შემოწმებას, რომელიც ტარდება პიონერ - ორგანიზაციის მიერ ბავშთა ძირითადი მასის მუშაობაში ჩათრევის მიზნით.

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორგანიზაციის ზრდის საკითხებს. უნდა გამოირკვეს —რამდენად გაიზარდა ესა თუ ის რაზმი, როგორ ატარებს ის მუშაობას შეუკავშირებელ ბავშთა შორის და სხვა.

ამავე დროს აქედანვე უნდა გამოირკვეს, ის თუ რა მონაწილეობა მიიღეს პიონერ - რაზმებმა საყოველთაო სავალდებულო სწავლებისა და სკოლების პოლიტეხნიზაციის გატარების საქმეში.

ყველა ამ საქმიანობ[illegible] მუშაობის შესახებ პიონერებმა უნდა სწერონ ადგილობრივ კედლის გაზეთში, ცენტრალურ და საბავშო რადიოგაზეთებში. მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება ჩვენი მუშაობა. თვითეული პიონერ - რაზმი ვალდებულია მუშაობის შემოწმების შემდეგ დაამზადოს მოკლე საანგარიშო მოხსენება და პატაკი დაუყოვნებლივ გადმოგზანოს პიონერთა ა. - კ. ბიუროში.

აი ის ამოცანები, რომელიც ჩვენ წინაშე დგას პლენუმთან დაკავშირებით.

ს. პ. ა. -კ. ცენტრალური ბიუროს დარწმუნებულია იმაში, რომ ამ დავალებას აქტიურად გამოეხმაურება ა. კ. პიონერ-ორგანიზაცია. რათა დაკვრითი წესით შეასრულონ მოცემული დირექტივა პლენუმისთვის მზადებასთან დაკავშირებით.

პიონერებო და პიონერთა შორის მომუშავეებო, ამ ამოცანათა შესასრულებლად იყავით მზად!

ა. გვლესიანი.



ლეწვა კოლექტივში

დამკვრელი პიონერეგის სიმღერა

ხუთწლედის ტემპებს ვამღერებთ,
დამკვრელობაში ვპირველობთ;
დავცხოთ და დავცხოთ გარღვევებს,
სოცმშენებლობის გმირებო!

მიღწევას მოჰყვეს მიღწევა,
პროცენტმა ზარდოს პროცენტი,
სამფინგეგმები იზრდება,
მაინც არსებობს ხორცმეტი,

ვინ დაიუფლა, გვითხარით,
მომდუნებელმა განცდებმა?
მტრისთვის მეხია, პირდაპირ,
ტემპებში დავაყაცება.

შრომაა ქვეყნის სარდალი
და მომავალის მარჯვენა!
გავთხაროთ კლდე და ბადაში,
არც ერთი წუთით გაცდენა!

დაირაზმენით, გაუწყებთ,
მკლავში გვიჩქეფდეს მხნეობა:
დავეწევით და გავუსწრებთ
ევროპის მეურნეობას!,

ალ. ბილანიშვილი.

საბჭოთა ტემპი

(დასაწყისი იხ. „პიონერი“ 11-12)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს ხუთ საათზე ცხრა ათასი ჰექტარი იყო საბოლოოდ ამოშრობილი და „ცირკი“ მოწყობილი. გაიხსნებოდა 8 ნახ. საათზე. მანამდე კი ეწყობოდენ თავ - თავიანთ ადგილას სასულე ორკესტრები, მომღერალთა გუნდები, მოძრავი დრამის, სატირ ,ეს,

თამბაქოს გაშრობა

ტიკინის და ოპერის თეატრები ლაგდებოდენ ხალხური მომღერლების ჯგუფები, მეჩანგურეები, მეფანდურეები, მემუსიკეები, მესტვირეები და ყოჩის მოჭიდავეები, მეგარმონეები, საჯამბაზო თოკი და საჭიდაო მოედანი. აქ მომსვლელს უნდაენახა ყველაფერი, რის ნახვაც და მოსმენაც შეიძლებოდა საქართველოში. აქვე იქნებოდენ პოეტები და წაიკითხავენ თავიანთ ლექსებს, აქვე იქნებოდა მოძრავი გაზეთი. მოვიდოდენ და ილაპარაკებდენ პარტიის უხუცესები და სიტყვას იტყოდა სიტყვის მეტად კრიჟანკი — ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი ახლგაზდა მაღალი, ტილოს ბლუზით და სათუთი თვალებით. ამ კაცს თურმე აქვს ისეთი თვისება, რომ ორი სიტყვით გაგრძნობინეს შინაურობას და ენას ამოგაღებინებს.

ფოთის ისეც ვიწრო მოედნებზე ხალხი ღელავდა, უნდოდათ ჩქარა ენახათ ამომშრალი მოედანი მაგრამ ადმინისტრაციის და არმიის განსაკუთრებული ნაწილი იცავდა გზას იქითკენ. თანაც უდიდესი საწყობები თითეული განი — ვერსის, სიგრძე — ორი სამი ვერსი) იცავდა გზას მოედნისაკენ. ხალხი შევარდა ფოთის მაცივარის სახურავზე. ეს შენობა ქალაქში თავისი სიმაღლით აჭარბებდა ყველა სიმაღლეს და კარგად მოჩანდა ბათუმიდანაც. საღამოს ექვს საათზე სამოციათას მუშას ებრძანა ტანსაცმელი გამოეცვალათ და დაეძინათ 8 1-2 საათამდი, სანამ ახირებული ცირკი გაიხსნებოდა, რომ მათაც მიეღოთ მონაწილეობა ზეიმში.

ჩუბინიძე ახლა პირადად ათვალიერებდა ყოველგვარ მოწყობილებას. რა იყო თავის ადგილას და რა არა. ის დაჭროდა მსუბუქი მოტოციკლით.

აბრამოვიჩი, როგორც უფრო მძიმე კაცი, არ ისჯებოდა და ისმენდა ცნობებს ქალაქის სააგენტოსაგან. ქალაქის აღმასკომის და სხვათა მოხელეებს აო უნდოდათ დაეჯერათ ძართლა ამოშრა თუ არა 9000 ჰექტარი, ითხოვდენ ნებართვას წინასწარ დათვალიერებისას. აბრამოვიჩმა მხოლოდ ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს მისცა ასეთი ნება.

8 ½ საათამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა. აიშვა განსაკუთრებული საყვირი, რომელიც ანიშნებდა



საჰერო ხაზის შეკეთება

ხალხს, რომ ახირებულ ცირკში შესაძლებელი იყო შესვლა. ყველას ეშინოდა რამე ცუდი ამბავი არ მომხდარიყო დღეს. კარგად იცოდა ჩუბინიძემ, რომ ამნაირ არეულ ხალხში ერთ რამ საშინელის წამოძახება უდრიდა რამდენიმე ათასი კაცის ფეხ ქვეშ მოთელვას. და გაითვალისწინა ყველაფერი. ოთხ შესავალში, რომელიც მთლიანად უნდა გასწვდომოდა ხალხის დენას, იდგა ოთხი კინოეკრანი რაზედაც უჩვენებდენ მრავალ წარწერას და პლაკატურ კადრებს, მაგალითად, ასეთებს.

1) მოზეიმენო! როდესაც დაიძახებენ „ჭაობი ქვესკნელისაკენ მიდის“, თქვენ თათქარიძესავით ზეზე წამოდგომას ნუ იკადრებთ: ეს იქნება სიცრუე.

2) როგორც მოგეხსენებათ ჭაობს ცეცხლი არ ეკიდება, ამიტომ ყველანი დაზღვეული ხართ.

3) საშინია მხოლოდ დროებით რაფის ხიდებზე რამდენიმე ასეულის დგომა, რადგან ის დროებითია და მხოლოდ მარტო დღეისათვის.

4) გავარდება ოთხი ჩარბაზანი ერთად და ცაში მოულოდნელად ავარდება 100.000 მაშხალა.

ეკრანზე აჩვენებენ ზეიმის ყოველგვარ დეტალს. რადიოძაბრი ანვითარებდა და იმეორებდა ზეიმის ძოკლე წესდებას, რომელიც ისე მოხერხებულად იყო დამუშავებული, რომ შემსვლელს შეეძლო ხელათ ცოდნოდა, რა უნდა ენახა შიგ და როგორ უნდა მოქცეულიყო. სულ 5 ნახევარი საათი უკლდა კიდევ და ხალხი შეუშვეს ამ ვეებერთელა, ნაჩქარევად ფიცრით შემოფარგლულ მოედანზე. ადგილს ეტყობოდა, რომ ოდესღაც იქ ჭაობი იყო. აქა-იქ ბაყაყები დხატოდენ. ისინი ხალხს აღარ ეჯავრებოდა, ახალ და დღეს მათ მიმართ მეტად ლბობიერები იყვენ, ქალაქში თანდათან იკლო ხალხმა. სულ ნახევარ საათში ფოთის ქუჩაზე ვეღარ ნახავდით არაიძულებით მოსიაოულეს. სუყველა მოდიოდა 9000 ჰექტარ ჭაობზე.

აქ კი იყო გაჩაღებულიზეიმი, დაკვრა ყოველგვარი ქართული და ევროპული საკრავისა, გუნდები, სოლოები, დუეტები, ბლოდა სასულე ორკესტრი, უნდა დაწყებულიყო კინოსეანსები, მაგრამ ხალხს ყველაფერი ეს ნაკლებად აინტერესებდა, რადგან ბევრს მოესმინა და ენახა ყველაფერი აქ მოწყობილი. ყველაზე საინტერესო იყო კინომოხსენება, რომელიც დღეს უნდა ეჩვენებიათ

და რისი განაღდებაც არავითარ იჭვს არ იწვევდა.

აძოდენა ხალხი თავისი ხუთი გრძნობის საშუალებით რწმუნდებოდა 9000 ჰექტარი ჭაობის ამოშრობაში ერთი დღისა და ღამის განმავლობაში და არავითარ იჭვს არ იწვევდა გეგმიანად 500.000 ჰექტარის ამოშრობა ბათომიდან ოჩაჩირემდე მთელ სანაპიროზე. ყველაზე უფრო საინტერესო იყო ხახვა ჩუბინიძის, პირველ საბჭოთა ინჟინრის, რომელმაც პროექტი შეადგინა და გაითვალისწინა ყველა დეტალი, რაც მთელი ევროპისა და მექსიკის სპეციალისტებმი დიდი განცვიფრება გამოიწვია; ყველას უხდოდა ენახა აბრამოვიჩი, ძისი თანაშემწე, სამუშაოთა ხელმძღვანელი, რომელსაც ნაკლები შრომა არ მიუძღოდა ამ წამოწყებაში, ნაზაროვი, სომეხი ეკონომისტი, რომელმაც ისე შესანიშნავად დაამუშავა ყველა ეკონომიური საკითხები, რომ ძესამე ჯგუფის მოწაფეს შეეძლო ძათი თავისუფლად წაკითხვა და ნათლად დანახვა იმ შესაძლებლობისა, ოასაც ჭაობის ამოშრობის პროექტი უმზადებდა მსუბუქ ინდუსტრიას და ექსპორტს.

ვახია ჩხეიძე, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრი იყო, რამდენჯერმე იყო შემჩნეული მარჯვნივ დარეხნივ რყევაში. ამ პარტიულმა ინჟენერმა პროექტში შეიტანა ხუთი ისეთი შესწორება, რომ შრომის ტემპს გაადიდებდა 8-ჯერ და მშენებლობას გააიაფებდა 40 პროც.-ით.

აქვე უნდა გასცნობოდენ ქალს— ექიმს, რომელთანაც ცხოვრობდა ჩუბინიძე. ქალშა ათი წელიწადი გაატარა ამერიკის ტროპიკებში და შეისწავლა მალარიის ას ოცდახუთი სახე. იგივე ქალი მუშაობდა კასპის გალმა მხარეს და ტუნდრებში. ალაზან გალმა, სადაც სისტემაში მოიყვანა 82 სახის ტროპიკული მალარია, მისი განვითარება და მორჩენის მეთოდები. ეს საკვირველი ქალი ისე აყენებდა ექიმობის მეთოდებს, რომ ამ ციებ - ცხელების ბუდე რაიონში ერთი კაციც კი არ დაავადდებოდა მალარიით. ამასთანავე ამბობდენ, რომ ის იყო იშვიათი სილამაზის და ჯერ 27 წლისას ყავდა ოთხი შვილი. ამ ოთხ შვილში ორი თურმე ქალიშვილობაში გაუჩნდა და ყველას აკვირვებდა, რომ ჩუბინიძეს შეეძლო ამის ატანა. ამოდენა ხალხი, რომლის რიცხვი მხოლოდ ლენინგრადმა იცოდა, ოქტომბრის დღეებში და პუდოვკინმა თავის კინოსურათების მასიურ სცენებში, ერთბაშად სულ განაბდრი იყო, მიბრუნებული ეკრანებისაკენ ყოველი ასი მეტრის დაშორებით.

კინომექანიკოსები საათებს უყურებდენ, ფოტოგრაფები და ოპერატორები მოქმედებდენ და იღებდენ სულგანაბული ხალხის სახის გამომეტყველებას. კინომექანიკოსები ერთბაშათ შეიძრენ, ამუშავდა კინოაპარატები. ორას ეკრანზე ერთბაშად გამოჩნდა წარწერა.

— დაიწყო კოლხიდის 500000 ჰექტარი ჭაობის ამოშრობა.

კადრი დაიხურა დიაფრაგმით. შემდეგ გამოჩნდა საფლობიანი ჭაობის მრავალი სერია, ლაფანებით და აქა-იქ მურყანის ხეებით. ხეებზე მოფრინდებოდენ ყვავები, ჭაობებში იბერებოდენ ბაყაყები, გველები იკლაკნებოდენ, დახტოდენ შამბებში გარეული ღორები. ოპერატორები იმდენად გულმოდგინეთ მუშაობდენ მაოს გადაღებაზე, რომ აპარატით დაეჭირათ ქარქვეტასავით არეული



დამკვრელი სამჭედლო ცეხი

კოლოები, რომლებიც ასავსავებდენ ანოფელებიან ხორთუმებს.

გამოჩნდა ანოფოლესის ბაქტერია. როგორ უკბინა კოლომ ჯანსაღ ადამიანს, განვითარდა სხეულში ანოფელესი, ავადმყოფს გაებერა მუცელი ელენთით, გახდა, გაძვალტყავდა და მოკვდა. როგორ გადაშენდა და ამოწყდა მთელი სოფლები, ოჯახები. გამოჩნდა საკვირველი ქალი, ციებ - ცხელების სპეციალისტი, წარწერით:

ადამიანი, რომელიც მალარიას არ მისცემს ნებას, მთელი სამუშაოების წარმოების დროს და, არასოდეს ჭაობების ამოშრობის

შემდეგაც, ერთი კაციც კი არ გახდეს ავად მალარიით.

სამალარიო დეპარტამენტის დირექტორად დანიშნული. მის გვერდში სამოცდახუთი პროფესორი ექიმი. და სხვა შტატის მთელი არმია, თეთრად გამოწყობილი...

ჩუბინიძე — დაბალი ტანის, შეკრული წარბებით, ადგენს პროექტს ოთხი წლის დღისა ლ ღამის შრომით. პროექტის ნახაზები განმარტებებით. იტალიისა და მექსიკის ჭაობის კოლონიზაციის და აგრონომების სპეციალისტები, რომლებიც აღტაცებაში მოდიან პროექტით. იტალიელი ინჟენერი ომედეოსი, რომელმაც თავისი საექსპერტიზო სიტყვა ასე დაასრულა:

ევროპას და ამერიკას არა ჰაყვს ასეთი სპეციალისტი, რომელმაც ასეთი გეგმა შეადგინოს.

ჩუბინიძე ეკრანზე ასაბუთებდა, როექტს პოკულიარული ციფრებით: მარტავდა იმ ახალ საწარმოოთა წამოწყებებს, რომელიც მოყვებოდა კდა ბუნებრივად გაჩნდებოდა ამოშრობილი ჭაობების ექსპლოატაციით მიღებული პროდუქციის დასამუშავებლად

ჩუბინიძე იქცეოდა ეკრანზე მეტად მწუხარედ და თანაც თითქოს ბოდიშის კილოთი გამოჩნდა წარწერა, რომ ეს გეგმა არაა იმოდენა, როგორიც, მაგალითად, კასპის გალმა მხრის მთლიანად საბამბე პლანტაციად გადაქცევა და უდაბნოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათიბებად გადაკეთება. არციმოდენაა, როგორც არის პროექტი, ვოლგ ა- დონის დიდი შემაერთებელი არხი ცარიცინთან. მაგრამ ეს პროექტი საკავშირო მრეწველობას, მალად გაანთავისუფლებს და უზრუნველყოფს სელის, რამის, არახისის, გვაითულას, ყავისა და ქინაქინის შემოზიდვისაგან.

ამოდენა ხალხს თურმე კარგად ესმოდა პროექტით გათვალისწინებული პროდუქტების მნიშვნელობა და ერთბაშად იგრიალა ტაშმა, ორკესტრებმა, გუნდებმა და ხელოვნების ყველა ჯგუფმა, რომლებიც ემორჩილებოდენ ერთ მთავარ დირიჟორს, ამ დღისათვის განსაკუთრებულად არჩეულს.

დირიჟორი დღეის კონცერტებისათვის მიიღებდა სახალხო დირიჟორის სახელწოდებას. მასაც ამ დღისათვის ემუშავნა რაც შესაძლებელი იყო და გამოეჯებრა თითქმის ყველა აქამდე ჩატარებულ ოლიმპიადას თავისი ელფერით. იყო ჯერ არავისაგან მოსმენილი სიმღერები, კანტატა, ამ დღისათვის დაწერილი ორკესტრები ისევ მიჩუმდა. ეს თვით ხალხმა მოითხოვა, რადგან მუსიკას შეეძლო შთაბეჭდილება შეემცირებია.

ახლა კი გამოჩნდა აბრამოვიჩი. ეკრანზე მისმა გამოჩენამ საერთო სიცილი და ტაშის გრიალი გამოიწვია. აბრამოვიჩი ფოთში ყველაზე პოპულარული კაცი იყო. ბავშობიდან იქ გაიზარდა, მამამისი იყო პატარა მეწვრილმანე ხელოსანი, ქალაქის ერთს კუთხეში. ოდესღაც აბრამოვიჩის მამამ მიიღო ქრისტიანობა მხოლოდ იმისთვის, რომ სამოსახლო მიწის შეძენა შესძლებოდა და, სკოლაში მიეღოთ ახლანდელი ინჟენერი აბრამოვიჩი. მაგრამ ყველაფერი ეს შესანიშნავად მოეწყო, მიაღებინა შვილი სკოლაში და მიიღო ქალაქის გარეთ ოთხასი კვადრატული ღრმა ჭაობი სამოსახლო. შვილი სწავლობდა რეალურ სკოლაში და მაშინვე ისეთი მშვენიერი გეგმა შეადგინა, რომ მშმას გაუკვირდა. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ყოველდღე პატარა აბრამოვიჩს ხუთი წლის განმავლობაში მოჰქონდა ოცდაათი ზურგი მიწა და ნეხვი (სამხედრო ნაწილის ბაზიდან) და ჭაობი ამოავსო. მთელი ფოთი აღტაცებაში მოდიოდა ამ შრომით, როდესაც აბრამოვიჩმა, მეშვიდე კლასის მოწაფემ, თავისი ამხანაგები მოიწვია თავის გაშენებულ ბაღში რამდენიმე პარტია ჭადრაკზე და მათემატიკის გაკვეთილების გადასამეორებლად.

დამკვრელი ტემპები

მკლავში გაბმულა თოკივით ძარღვი
შავ მეტალივით ბორგავს კუნთები,
სიგიჟეს იჩენს დღეს აქ მა ქანა
ცეცხლ დატენილი მიქრის ტუთები.
აუწყვეტია ქარხნის ბრიგადას
დღეს სოცშეჯიბრში იწვევს ათასებს,
სჩანს მიღწევათა სწრაფი შეტევა
ენტუზიაზმის საწარმოს ავსებს.
ჩემი მიზანი შეუსისხლხორცდა
აქ ინდუსტრიის მხნე დადევნებას.
უტეხ ფოლადის ტრაქტორებს ფანტავს
კოლექტივებში იწყებს ჭინებას.
ოფლი იღვრება ფოლადის წვეთით
სოციალიზმის გვაწევს საქმენი.
ქალაქი ჯდება ავტომობილზე
ტრაქტორებზე კი მთელი სოფელი.

დავ. თავართქილაძე

ვანია ჩხეიძე — თავმოძულებული ინჟენერი. ოდესღაც ვანია ჩხეიძე იყო გატაცებული კინოს თინალებით. უყვარდა გადაღება აფეთქებანი. სამი მეტრის სიახლოვეს უდგებოდა აპარატით კლდის აფეთქების გადაღებას. თუმცა ამათში მან მსოფლიო თავგანწირულების რეკორდი დაანყარა, მაგრამ ერთხელ მას ბედმა უმტყუნა. ჰიდროსადგურის შენების დროს ზაჰესში ის ორი მეტრის მანძილზე მივიდა ასაფეთქებელ არესთან და მოტყუვდა. თანაც ის იმ დღეს გვარიანად არეული იყო.

ჩხეიძეს ორ თვეს ადგენ თავს ტფილისის გამოჩენილი ქირურგები. ძოარჩინეს, მაგრამ შუბლი დაურჩა გაპობილი თითქმის შუადან მოყოლებული მარცხენა წარბამდე. ნაპობში კარგად ჩაიმალებოდა შუათითი, სისქით და სიგრძით. ხალხი ვანია ჩხეიძეს თავგაპობილ ინჟენერს ეძახოდა და პროექტის ყველაზე მძიმე ადგილი აუცილებლად ჩხეიძეს უნდა რგებოდა, როგორც ყველაზე უფრო მეტად გამბედავს და თავგადადებულს. მას უყვარდა აგრეთვე ავანტურაც და ამიტომაც მიანდეს ძნელი

ოქტომბრელები ღებულობენ მზის აბაზანებს

პარტ-რაიკომში იყო გამოძახებული ოპოზიციონერების საქმეზე და ღელავდა. ვერ დაიკავა მოსაზრებული და გამოზომილი პოზიცია, გასაშლელ მეტრზე დავიწყნოდა ერთი მეათედის გაშლა და ექვსფუთიანმა სიპმ ჩამოჰკრა ფართო და მაღალ შუბლზე.

ადგილები — პალიასტომის აგარაკი. ის ისე ჩაიჭედებოდა თანხებში, რომ ვერავითარ თანხების სხვა მხრით მიმართვას ვერ გაბედავდა, რადგან თვით ძირითად ნახაზებსაც დიდის დაჭიმვით ეყოფოდა სესხები.

(გაგრძელება იქნება).

ბორის ჩხეიძე.

წერილი ამერიკიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგ. კლ. კალანდაძის.

ორდერი სიკვდილზე

— მისი სახელია **ბილ-კიტის.**

აი მისი უკანასკნელი წერილი, კალიფორნიიდან (შეერთ. შტატები) მოწერილი:

„მე გავიგე, რომ ანსუნ კუცის კომპანია მუშებს აგროვებს. წავედი. გავაღე კარი და ვხედავ, რომ ოთახი ისეა გაჭედილი ხალხით, რომ გავლაც კი არ შეიძლება. ცხრა საათისათვის სამარისებური სიჩუმეა გამეფებული. გვერდის კარებიდან შემოდის ლამაზი, ჩასუქებული მამაკაცი.

აშკარა დაცინვის თვალით გადმოგვხედა და წარმოსთქვა: **„ვის უნდა იაფად მუშაობა?“**

საჭიროა ისეთი დაკოჭიჭებული ხელები, როგორც ცხენის ჩლიქი

დაიწყეს რიგ-რიგობით მასთან მისვლა. ის სწრაფად სწვდება მკლავზე და **„კუნთებს სინჯავს“.** მე არ მესმის მათი ლაპარაკი და ამიტომ მგონია, რომ ისინი, რომელნიც უკან ბრუნდებიან, ვერ მორიგდენ ფასზე, ნამდვილად კი **მათი ხელები არ არის გამოსადეგი მუშაობისათვის.**

ჩემი რიგიც მოვიდა. მე გავიწოდე წინ ჩემი მძლავრი ხელები და თამამად მივუახლოვდი. მან ზიზღით შემომხედა და თქვა **„ნონ“** (ფრანგულად **არა**-ს ნიშნავს).

რატომ არ წამიყვანა? განა იმიტომ, რომ ნამგლით თითი ოდნავ გაფხაჭნილი მქონდა? **თუმცა რა, მე მესმის, რომ მას ესაჭიროება ისეთი ადამიანები, რომელთაც ხელები დაკოჭიჭებული აქვთ, არა მარტო ხელისგული, არამედ ხელის ის ზემო ნაწილიც, სადაც ჩვეულებრივ ადამიანებს ნაზი კანი აქვთ“.**

ეს წერილი სავსეა ზიზღით და, შეურიგებლობით, და ერთხელ კიდევ, რომ გამოეცადა **ბილის,** თუ „ლამაზი, ჩასუქებული მამაკაცი, როგორ უსინჯავს კუნთებს“, ალბათ ის სიამოვნებით სილას გააწნავდა; მაგრამ უბედურება ისაა, რომ საცოდავ ბილის არ დასცალდა, გაზრდილიყო საზოგადოებრივი ბრძოლისათვის; ამისათვის მას ჯერ სათანადო ვაჟკაცობა არ შესწევდა.

ბილის ტანჯვანი ყოველგვარ საზღვარს გადასცდა და მისი წერილის ბოლოს მიწერილია: **„მეტი აღარ შემიძლია ასე ცხოვრება. შიმშილი საშინელი გადასატანია, მაგრამ კიდევ უსაშინელესია დაცინვის ატანა“.**

და შემდეგ... გაზეთებში, იქ, სადაც ჩვეულებრივად ქრონიკაა, მოთავსებული იყო პატარა შენიშვნა: **„საზოგადო საპირფარეშოში თავი ჩამოიხრჩო 18 წლის ბილ-კიტისმა“.**

და ამის მეტი არაფერი.

რატომ ჩამოიხრჩო თავი 18 წლის ბილიმ?

ამის შესახებ გაზეთებში ერთი სიტყვაც არ იყო დაძრული, სამაგიეროდ იქვე გვერდზე სრულად იყო აღწერილი სიყვარულის ისტორია. რატომ დასწერონ ბილის სიკვდილის შესახებ? ბურჟუაზიული სწავლულები, ხომ აცხადებენ, რომ **„სიცოცხლეს სტოვებენ ისინი, რომელნიც საზოგადოებისათვის გამოსადეგი არ არიან“.** რატომ შეაწუხონ ღიპიან ბურჟუას ნერვები! ბილის გარდა ხომ 10 მილიონი უმუშევარია კიდევ!

თქვენ მუშვენიერ ფერზე ხართ

ჩვენს წინაშე დევს კიდევ მეორე საბუთი, მოწერილი ნიუ-იორკის კომკავშირელისაგან.

„ამ დღეებში სასამართლოში ირჩეოდა საქმე პაწაწა მანეკენის (დიდ ქალაქებში მანეკენების ე. ი. ხის დედოფალას როლს ასრულებენ ლამაზი ტანის ბავშები და ქალები, რომელთაც იგივე მანეკენები ეწოდება), რომელიც მსახურობდა ყველაზე კარგი სასტუმროს სამგლოვიარო განყოფილებაში. ის თხოულობდა ფულს მეპატრონისაგან უსამართლოდ სამსახურიდან დათხოვნისათვის.

„როდესაც სამსახურში დავდექი, — განაცხადა მან, — გამაგზავნეს სამგლოვიარო კაბების განყოფილებაში, **მაგრამ განყოფილების გამგეს ვეჩვენე, როგორც ჯანმრთელი და კარგი ფერის მქონე და მან წინადადება მომცა, რომ ღამ-ღამობით მეცეკვა, რათა დილით დაღლილი და ცუდ ფერზე ვყოფილიყავი. სამგლოვიარო კაბების მყიდველთათვის საჭიროა შესაფერი მანეკენები. მე შევასრულე მეპატრონის განკარგულება და ეხლა, როცა სრულიად დამეკარგა სიჯანსაღე, გამომაგდეს სამსახურიდან“.**

სასამართლომ სამართლიანად სცნო მანეკენის დათხოვნა, და საცოდავმა გოგონამ ყელი გამოიჭრა.

„ახალგაზრდობა ყოველთვის იყო და იქნება თავქარიანი“ — გვარწმუნებენ ისინი, ვიზედაც ნათქვამია— მაძღარი მშიერს ვერ გაუგებსო.

„თვითმკვლელობის 2.776 შემთხვევაა ერთი წლის განმავლობაში ბერლინში“, —ამბობს მშრალი სტატისტიკური ციფრები, და ყოველი მეექვსე თვითმკვლელობა ჩადენილია ახალგაზრდების მიერ.

როდის დადგება დასვენების დრო?

აი კიდევ ერთ - ერთი მსხვერპლის მიერ სიკვდილის წინ დაწერილი წერილი:

„მე ვიცი, რომ ჩემი ეს ნაბიჯი არ იქნება გამართლებული. მაგრამ მეტი გამოსავალი არ იყო, — ნათქვამია კელერის საკონდიტროს ქარხნის მუშის **პაულ შეხერის** წერილში. — მუშაობა გვეწყება დილის 6 საათზე. და საღამოს 6 საათამდე განუწყვეტლივ ვმუშაობთ. ერთხელ შევეკითხე ოსტატს: „როდის დადგება დასვენების დრო?“. მან მიპასუხა: **„შემოიარე ჩვენს კანტორაში, მე უკვე ვიზრუნე შენს დასვენებაზე“.**

გავიდა სრული 5 თვე და მე, ოსტატის წყალობით, თავისუფლად დავხეტიალობ, — სწერს **პაულ** თავის მშობლებს ჰამბურგში. — ვიკვებებოდი შემთხვევით ნაშოვნი ნამუშაოთი და იმედი დამეკარგა, რომ ოდესმე მუდმივ სამუშაოს ვიშოვი. მშვიდობით“.

ასეთი შემთხვევები ასობითაა. ეს შექმნილია კაპიტალისტური წესწყობილებით, ჩაგვრის, შიმშილის და სილატაკის წყობილებით.

მაგრამ თავის მოკვლა გამოსავალი გზა არ არის, — **მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, სრული კლასიური სიძულვილით, კომკავშირის, პარტიისა და ლენინიზმის დროშის ქვეშ; ეს არის ერთად-ერთი გზა განთავისუფლების და სასიხარულო შრომის შექმნის მილიონ ბილებისა და ბეხერებისათვის.**

ეხლა მუშათა ახალგაზრდობა იწყებს გაფიცვებს, რომელიც გადადის ნამდვილ კლასთა ბრძოლაში, და რევოლუციის ტალღა ედება ბურჟუაზიულ ქვეყნებს. ამრიგად, **პროლეტარები შესძლებენ „სიცოცხლის ორდერი“-ს დაპყრობას.**

ლერ.

ჯორდანო ბრუნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომის ისტორიის დასასრულს და ეგრეთწოდებულ საშუალო საუკუნეების პირველ ნახევარში ანტიური საზოგადოება ეკონომიური და კულტურული დაცემით ხასიათდება. დროის მსვლელობაში ცხოვრების ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოდის ახალი საზოგადოება ფეოდალიზმის ფორმით და სახელწოდებით.

დაახლოებით მე-13 საუკუნის შუა პერიოდში იწყებს განვითარებას სავაჭრო კაპიტალი, რომელიც აღწევს ევროპაში, ნაწილობრივად კი იტალიაში, განვითარების მაღალ დონეს, განსაკუთრებით მე-15 საუკუნის დამლევს.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით, გაიზარდა სამეცნიერო ცოდნის მოთხოვნილება ახალი სავაჭრო ბაზრებისადმი, რაც ხელს უწყობდა ახალი საზღვაო გზების აღმოჩენას.

ვაჭრობის მსოფლიო მნიშვნელობამ და გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა (კოლუმბის, ვასკო-დე გამესი და სხვების) ძირიანად შესცვალეს თანამედროვეთა ტრადიციული შეხედულებანი სამყაროზე და მასში წარმოშობილ პროცესებზე.

სავაჭრო კაპიტალი ფეოდალურ პირობებში მოექცა, რის გამოც მან ვეებერთელა დაბრკოლებანი განიცადა თავისი განვითარების გზაზე. სავაჭრო კაპიტალის უდიდეს და სერიოზულ დამბაკოლებლად უნდა ჩაითვალოს კათოლიკური ეკლესია.

კათოლიკური ეკლესია ეწინააღმდეგება ყოველივე ახალს და ყოველივე პროგრესიულს. იგი ულმობელ ექსპლოატაციას უწევდა მორწმუნე საზოგადოებას.

მაგრამ რელიგიის ქურუთმა მძვინვარე ბრძოლამ ვერ ჩაჰკლა მეცნიერული აზრის განვითარება. შეუბრალებლად და დაუდგრომლად ირღვეოდა რელიგიური დოგმები... უკვე 1513 წელს გამოქვეყნდა კოპერნიკის ასტრონომიული ნაშრომი. სამღვდელოების წინააღმდეგ კოპერნიკი ამ ნაშრომში ამტკიცებდა, რომ მიწა ბრუნავდა მზისა და საკუთარი ღერძის გარშემო. მანამდე ეკლესია ამტკიცებდა იმ აზრს, თითქოს მიწა მსოფლიოს ცენტრში იდგა, მზე კი მის ირგვლივ ტრიალებდა.

თვითონ კოპერნიკმა თავისი მოძღვრებიდან არ გამოიყვანა ათეისტური დასკვნები. ეს ამოცანა ვაჟკაცურად შეასრულა ჯორდანო ბრუნომ.

ჯორდანო ბრუნო დაიბადა ნილეში (იტალიაში) 1550 წელს. 15 წლიდან იგი ითვლებოდა მონასტრის მსძენელად. როცა მიაღწია ოც წელს, მან დასწერა საეჭვო ვერსია, რისთვისაც განიცადა დევნა ეკლესიის მიერ, ამიტომ იძულებული გახდა გაქცეულიყო ჟენევაში, შემდეგ ტულზაში, და ბოლოს პარიზში. ასე დაიწყო ბრუნომ ხეტიალი ერთი ქვეყნიდან მეორეში.

ამ წლებში ბრუნოს ვხედავთ ინგლისში, ხელახლად პარიზში, გოლმშტადში, ფრანკფურტში და სხვაგან.

ზემოთ დასახელებულ ცენტრებში ბრუნო გამოდის ლექციებით და თავისი ნაბეჭდი შრომებით რელიგიისა და სამღვდელობის წინააღმდეგ. იგი შეუდრეკლად იბრძოდა მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარებისათვის.

1590-იანი წლების დასაწყისში, გაურკვეველი მიზეზების გამო, ბრუნო ხელახლად ბრუნდება იტალიაში;

პიონერები მეცადინეობენ ანტირელიგიურ წიგნში

მისი დაბრუნებიდან რამდენიმე ხნის შემდგომ იგი დააპატიმრა სამღვდელოებამ და ვენეციის საპყრობილეში ჩასვა. ექვს წელს საპყრობილეში ყოფნის შემდეგ გადაგზავნეს იგი რომში, სადაც წააყენეს სასამართლოს წინაშე, მაგრამ ვერც მუქარამ, ვერც ინკვიზიციის მკაცრმა დაკითხვამ, ვერც ჯალათებმა ვერ გასტეხეს იგი.

სიკვდილამდე ვერ გასტეხეს ბრუნო ჯალათებმა, რაც ჩანს შემდეგი ბარათიდან: „მამაცათ ვიბრძოდი, ვფიქრობდი, რომ გამარჯვებას ვიგაღწევდი, მაგრამ ჩემს სუსტ ორგანიზმს და მისწრაფებებს გზას უხშობდა ბოროტი საშინელი მაჯლაჯუნა“.

შემდეგი თაობა იტყვის: სიკვდილის შიში მისთვის უცხო იყო და ცხოვრების სიტკბოებაზე მაღლა აყენებდა ბრძოლას ჭეშმარიტებისათვისო.

ბრუნოს განაჩენი 9 თებერვალს წაუკითხეს ქალ. რომში, უდიდესი ინკვიზიტორის სან-სევერიანის სასახლის წინ. განაჩენის თანახმად, ბრუნო უნდა გადაეცათ წმინდათა საბჭოსთვის, რათა შეემსუბუქებიათ სასჯელი და არ დაღვრილიყო სისხლი. ასეთი იყო ოფიციალური ფორმულა და პირმოთნეთა დაფარული აზრი კოცონზე დაწვისა.

ბრუნომ წყნარად მოისმინა განაჩენი და შემდეგ წამოიძახა: „მე ვეჭვობ, რომ თქვენ ეს განაჩენი წარმოსთქვით უფრო მეტი შიშით, ვიდრე მე ვღებულობ მას“.

ერთი კვირის განმავლობაში რელიგიის ჯალათები აღფრთოვანებით ელოდენ ბრალდებულის დასჯას. ეს ამბავი დიდხანს არ გაგრძელებულა. 17 თებერვალს, 1600 წელს, სისრულეში მოიყვანეს განაჩენი: ბრუნო ანაფორიანმა ჯალათებმა დასწვეს კოცონზე.

ბრუნოს მოძღვრება ლუკრეციუსა და ნიკოლოზ კოპერნიკის მოძღვრებათა შეჯამებას წარმოადგენს.

ბრუნო ამტკიცებდა, რომ ჩვენი მზის სისტემა ერთ-ერთი სისტემა აუარებელ სისტემაში. ამისთანა მტკიცებიდან ბუნებრივად გამომდინარეობდა მთელი რიგი ათეისტური დასკვნები.

თვითონ ბრუნო აღიარებდა ღმერთის არსებობას, მხოლოდ არა გარეშე და არა ბუნებაში, არამედ თავისში, ადამიანში. ბრუნო რომ ყოფილიყო თანმიმდევნო მატერიალისტი, სრულიად უარჰყოფდა ღმერთს, მაგრამ ბის დროს მატერიალისტური ფილოსოფია სუსტად იყო განვითარებული, რის გამოც ბრუნო ვერ შეიქმნა სრული და თანმიმდევნო ათეისტი.

ა. ბ.

გორის საკონსერვო ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ქარხანა შორიდანვე მოჩანს. დღეს ის პატარა ქალაქში პირველი დიდი და მეტად ლამაზი შენობაა.

გორის ცენტრშია მოქცეული და ისე დინჯად იკვამლება, გეგონებათ გემრიელ ყალიონს შეექცევაო.

ღამე ელექტრო-ფანრები მძივებივით გულმკერდს უხვად უქარგავენ, დღისით კი...

შეგბნედავს სასიამოვნო სუნი



კომკაშირელების სიმებიანი ორკესტრი

მსუყე და ქართლის გემრიელი ხილისა.

აი ეს გახლავთ გორის საკონსერვო ქარხანა.

ეს ის ქარხანაა, საუკეთესო საექსპორტო ხილის და ბოსტნეულობის კონსერვების ზვინებს რომ ამზადებს.

ეს ის ქარხანაა, რომლის დამზადებული ხიდისთაური სურნელოვანი ატამი ცივ ზამთარში თავისი სუნით და გემოთი შემოდგომას წუთით რომ უკან დაგიბრუნებს, დაგავიწყებს, რომ გარეთ თოვლის კორიანტელი ტრიალებს და კვერნავის მთებიდან კი მგლების ხროვის ღმუილი ისმის.

ამ ქარხანაში ზაფხულიდან დაწყებული დეკემბრამდე მუდამ ხილის მთებია აღმართული.

ვინ იცის, რამდენი ჯიშის მსხალი და ვაშლი არ მოდის!

ქლიავის ცხრა ჯიში სხვადასხვანაირად იცქირება, თვითეული გრძელი ფარდულების კუთხეებიდან.

ბალი და ალუბალი მხოლოდ შპანსკისა იხმარება.

ქარხნის კარზე ურმების ქარავანს მუდამ ჭრიალი გააქვს. ისმის შოლტის ტკაცუნი და პატარა ბიჭების ყვირილი.

— ხი, ხი, შე ვერანო, შენა!

— ჰო, ჰოო, წაბლა, სად მიხვალ, სადა, შენ საკლაო, შენა!!

შიგნიდან კი მანქანების რიტმიული ხმაური ყველა ხმაურს ჰფარავს.

— რაკ, რაკ, რაკ... ისმის ერთი კუთხიდან. თითქოს ვინმე დოლს უკრავსო, — რიბ-დაბ, რიბ-დაბ... — გუგუნებს მეორე მხრიდ.

— წუი, წუი, წუი,—უცნაური წუწუნი ისმის სხვა მხარიდან. ტრიალებენ ღერძები, სრიალებენ ტყავის სარტყლები, მრავალი ქვაბი ირეცხება, ქლდება და შორს, სულ შორს იფანტება სასიამოვნო სუნი ხილისა, ეზოში რომ შეხვალ, წუთით თვალი უნდა მოხუჭო.

კონსერვების კოლოფების ანაჭერთა ზვინები მზეზე თვალმოსაჭრელად ალმასებივით პრიალებს.

გრძელი და დიდი ფარდულებიდან ხან მუქი წითელი ფერი პრიალებს დაგროვილი კალვილისა, ზოგან კი ატმის დაწმენდილი ხავერდი ადამიანის თვალს უალერსებს. ხილით სავსე საგორებლებს ოდნავი ხელის წაკვრით გრიალი გააქვთ ლიანდაგზე.

ქარხნის ფართოდ გაღებული კარებიდან ერთი მხრიდან თუ ხილი შედის, იმავ საგორებლებით მეორე მხრიდ ნაფცქვენებს და კურკებს ეზიდებიან.

ფარდულებში დაგროვილ ხილს ლურჯწინსაფრებიან ქალები ახარისხებენ.

ახარისხებული ხილი რკინის ლ[illegible] ბობში იყრება.

მ[illegible]ის ხელის განძრევით მილებიდან წყალი შიშინით დაიქუხებს.

თუშფალანგის მსგავსი დიდი ფირფიტა აქეთ-იქით წავა-წამოვა, და გარეცხილი ხილი მეორე მანქანაში იყრება.

ჭრიალებს კურკის საცდელი მანქანა, ქვეშ კურკების ხროვას აყენებს გვერდით, ჩურჩა უხვად გამოდის. წვრილი ხილის ჩურჩა დიდ ქვაბებში იყრება; ხილის ფაფის გასაკეთებლად. ამას რუსები „პოვიდლო"-ს უწოდებენ. დუღს ქვაბები, ოშხივა-

თუთის სანერგეების დამზადება

რი მათ ნისლივით თავს დასტრიალებს. დუღს ქვაბები და თან ისე ჩიფჩიფებს, თითქოს ბებერს ძილს აჯავრებს.

მეორე მხრივ მანქანები ვაშლის ქერქის ზვინს აყენებენ.

გადმოდის და გადმოდის ძაფის გორგალივით თეთრი, გულამოცლილი ვაშლები. ეს გორგლები ერთი ხელის წავლებით ფენებად იშლება და რკინის ცხრილზე იწყობა.

მანქანამ წითელგვერდა ვაშლები თვალის დახამხამებაში კიდეც გაანაწილა და თხლად და თანასწოროდ კიდეც დასჭრა.

მუშები რკინის გრძელ ცხრილებს ერთ წუთს ავსებენ დაჭრილი ვაშლით და სახმობი მანქანისაკენ მიაქვთ.

მანქანას ეს რკინის ცხრილები რამდენიმე სართულად უწყვია. გუგუნებს ელექტრო-მოტორი, მილები, ქვემოთ შიშინებენ...

— რახ, რახ, რახ... და ათ წუთში მზაკ არის.

ქარვასავით ყვითელი, სიფრიფინა და გამჭვირვალე ჩირი მზად არის.

— ოხ, ოხ, ოხ, ბიჭო ვანო, ერთი შეხედე, რა მსხლის ჩირი გამოვიდა!

შევრცხვე, თუ კამფეტს არა ჰგავდეს. დახე, დახე, რა ლამაზია, ახლა ტემო ნახე!

— ჩაყარე, ძმაო, შუშის ქილაში, და კამფეტია და კამფეტი...

— შენ გუშინ გარგარის ჩირი გენახა! იცი, რა იყო? პა, პა, პა, პა! კაცო, შაქარი იყო, პირდაპირ შაქარი! ახლა სუნი? ასეთი სუნი დატრიალდა, რომ იბნიდებოდა ადამიანი.

— ტყუილად თავს იქებთ, დიმიტრი, ჩვენი საქონელი ყველას სჯობია.

ახალგაზრდა ქალი, ლურჯწინსაფარით, ერთი კარიდან შემოვიდა. ლურჯი ტოლჩა ფანჯარაზე დადგა და წუთით ამხანაგებს გამოეხმაურა.

— იცი, რა კონსერვებს ვაკეთებთ?! ოცი წელიწადი, რომ გავიდეს და გახსნათ, ისევ ისეთი იქნება, პირდაპირ ხიდან მოწყვეტილის სუნი და ფერი არ ეშლებათ... ამ წლიდან მეტად დავხელოვნდით... ყველას ვაჯობეთ, ძმაო, და ის არის...

— აბა მაშ შეჯიბრება გამოვაცხადოთ... ვინ უფრო ბევრს და უკეთეს ხილს დაამზადებს.

— აბა, ვნახოთ... ჩვენ დიდი სანია შეჯიბრება გამოვაცხადეთ და, ხედავთ რა ამბავია?

ქალმა ზემო განყოფილებისაკენ გაუშვირა ხელი.

— შეხედეთ! მოდის და მოდის... შეხედეთ, ისევ მოდიან, გეგონებათ ცეკვავენო.

მართლაც, იქ, ზემოთ, მიხვეულ-მოხვეული გზით პრიალა კონსერვების კოლოფები აწყობილი მძივებივით მოცურავდენ.

კოლოფები ქვემოთ მანქანებთან რიგ-რიგობით ჩერდებოდნენ, სწრაფი ხელები მუშისა კოლოფს გამზადებული ხილით ავსებდა, მეორე მუშა ქალი კოლოფში ნადუღ შაქრის წვენს ასხამდა, და დატვირთული კოლოფი ახლა სხვა მხარეს მოცურავდა. მიცურავს, მიცურავს და ახლა სხვა მანქანასთან გაჩერდება.

— ხარ, ხარ, ხარ, და კოლოფს მანქანის მძლავრმა ხელმა ერთ წუთს თავსახური კოხტად დაახურა.

აქედან, კოლოფი კიდევ სხვაგან გაიქცა, მესამე მანქანა ამ სახურავს კალით მჭიდროდ უმაგრებს და კიდევ გარბის...

სად?

სად და სადაც ყველაზე დიდი გუგუნი და ხმაურია. ამ ადგილს ყველაზე ძალიან ცხელა. უშველებელ თუჯის ქვაბებს ხარბად დაუღიათ პირი და ირთქლებიან. ორთქლის გამო, მომუშავე ხალხი ბევრჯელ ერთმანეთს ვერა ხედავს.

დუღს წყალი, სულ მუდამ კოჭზე დუღს და ორთქლი თავზე ნისლივით დასთამაშებს.

აი სწორედ იქით გარბიან კოლოფები.

ცოტა ხანიც, და ეს ქვაბები ამ კოლოფებით ივსება. საათობით კოჭზე დუღს ეს ქვაბები. მანქანისაკენ სანელალებით იწყობა ხელით საგორებელ ურმებზე ეს გამზადებული კონსერვები და ახლა ქვემოთ, გრილი სარდაფისაკენ იგზავნება, ზემოდ კი ისევ რახუნი, ჭრიალი და გუგუნის ხმა ისმის. ყველაზე განაპირა კოლოფების დასამზადებელ პუნქტად ითვლება.

აქ ქალი დგას, მცურავ ბრტყელ ტყავის სარტყელზე ამ კოლოფებს აწყობს. აი აქედან ქვემოთ, ელვასავით მიკლაკნილ მოკლაკნილი გზით მიცურავენ პრიალა კოლოფები. ამ განყოფილებაში თუნუქის ანაჭრების ზვინები დგას.

ხან აქ, ხან იქ დარბიან ბიჭები რკინის ნიშნებით და ამ ანაჭრებს ყუთებით ძირს ეზიდებიან.

— უ უ უ უ!—ღრიალებს მძიმედ საყვირი.

კვამლი ზანტად იკლაკნება ქარხნის ზემოთ.

— ოჰ, დავიღალე, კაცო, კიდეც დამცხა ,— ამბობს ეზოში გამოსული მუშა და წყლის მილს ხელსა და პირს უშვებს.

— დაღლა რას ჰქვია, კაცო დავითვერი ამ ცხარე არაყის სუნით. როგორც სპირტი, ისეთი არაყი გამოდის ამ ხილიდან.

— ცრემლივით კი მოდის, სწრაფლა და გასუფთავებული...

— მაგას, ძმაო, აღარც გასუფთავება უნდა და აღარც [illegible] მოხდა. ისეთია, ისეთი, ჩემმა მზემ, სწორედ თავრეტს დაასხამს ადამიანს.

ეს მუშები საკონსერვო ქარხნის არყის სახდელი განყოფილების მუშები იყვნენ. საყვირმა დასვენების დრო ამცნო, და ისინიც დასასვენებლად გამოვიდენ.

— არ იცი, ბიჭო, მეჯვრისხევიდან და ტყვიავიდან დღეს ბოსტნეულობის განყოფილებაში ისეთი დიდი კომბოსტო და ჭარხალი მოუტანიათ, რომ თავის დღეში თურმე მაგისთანა დიდები ამ ჩვენს ქვეყანაში არ მოსულა. აი, ამოდენაა, აი, მუშამ ხელი გაშალა და უჩვენა.

— აბა, ცოდნაც ეგ არის. ეხლა სულ სხვანაირად უვლიან ნიადაგს და მცენარეულობას და ეგ იმის ბრალია, თორემ აგერ სამოც წელს მივაღწიე და როდის იყო მაგისთანა კომბოსტო ან ჭარხალი მოსულიყო!

— რას ლაპარაკობ, კაცო, სანამ კომბოსტო თავს გაიკეთებდა, მანამდე ბევრჯერ ჭიები ისევ გვიჭამდენ, რომ ცარიელ ღეროებს სტოვებდენ.

მუშები ამ ლაპარაკით ქარხნის მეოთხე განყოფილებას მოუახლოვდენ. აქაც მთებად იდგა პამიდორი, ბადრიჯანი, კომბოსტო, სტაფილო, და ჭარხლის ზვინები.

აქაც რიგი მცენარეულობისა ირეცხებოდა, იფცქნებოდა, იჭრებოდა, ითუთქებოდა, იხარშებოდა, აქაც ათასი ბორბალი ტრიალებდა, მანქანები აქაც ისევე გუგუნებდენ.

მრავალი ხელი, რკინისა თუ კაცისა, მოუსვენრად მორბოდა. ბოლგარული მსხვილი წიწაკის კონსერვების სუნი უხვად ტრიალებდა ხილის ზეთი დიდი კასრებით იდგა.

— გოლა, წამო, ბიჭო, დავნაყრდეთ, მაგ მანქანას რას შეჩერებიხარ?!

— რაღაც სხვა ხმაზე მღერის და ცოტა არ მომწონს, ხომ იცი, ეს მანქანა ისე მიყვარს, რომ ქვეყანაზე არაფერი ასე არ მყვარებია. ასე მგონია კვნესის მეთქი და გული ძლიერ მეთანაღრება. გასწი, ბიჭო, და მეც მოვალ.

მუშები გამოსავალ კარებში შეჯგუფდენ, ნელა-ნელა გამოვიდენ და აქეთ-იქით გაიფანტენ.

მანქანები დროებით შეჩერდა. გოლა კი ისევ დაჩოქილი იჯდა თავისი მანქანის წინ და გრძელი რკინით რაღაცას ასწორებდა. მანქანების გუგუნის მაგივრად მსუყე სუნთან ერთად გოლას ტკბილი ღიღინიც ისმოდა.

ცქვიტი.

ქისათიბის სიმდიდრე

სოფ. ქისათიბი მთის მწვერვალზეა შეფენილი, ალხაციხიდან 18 კილომეტრის მანძილზე. ის მდიდარია თეთრი მადნით, რომელსაც დიატომიტი ეწოდება.

ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლეზეა ქისათიბის დიატომიტის მთაა მაგრამ ოდესღაც იქ ზღვა იყო, ზღვაში კი მრავალი მილიარდობით ცხოვრობენ ნამცეცა, მიკროსკოპიული ცხოველები — დიატომიტები. ბოლოს ზღვამ დაშრობა დაიწყო, ვინაიდან მახლობლად ვულკანი ამოქმედდა, დიატომები—ინფუზორიები კი იმდენი შეგროვდა, რომ მთელი მთა გაკეთდა. ეს მთა ბოლოს გაქვავდა და იქცა ცარცზე უფრო თეთრ და მსუბუქ ინფუზორულ მიწად—დიატომიტად. დიატომიტის ფენებში ახლაც პოულობენ გაქვავებულ ზღვის ცხოველებს, რაც უდავოდ მოწმობს, რომ იქ, სადაც ახლა დიატომიტის მთაა, უძველეს დროს ზღვა ყოფილა.

დიატომიტი დედამიწის ზურგზე მხოლოდ ორ ადგილასაა: ქისათიბში და გერმანიაში, მაგრამ გერმანიის დიატომიტი უფრო ცუდია, მასში ბევრი სხვადასხვა ნივთიერება ნარევი და ამიტომ გარეცხვა სჭირდება, ქისათიბის მადანი კი სუფთაა და გაცილებით უკეთესია თავისი ქიმიური შემადგენლობით.

საზღვარგადეთ ძალზე სჭრდებათ დიატომიტი, და საქართველოდან გაქვთ ის უცხოეთში, უმთავრესად ამერიკაში. წელს მესამე კვარტალში 3000 ტონა დიატომიტი უნდა იქნეს გატანილი.

რაში იხმარება ეს მადანი, აქვს თუ არა მას სამრეწველო მნიშვნელობა.

დიატომიტი იხმარება როგორც იზოლატორი.

ის დინამიტის შემადგენელი ნაწილია.

საჭიროა მინის წარმოებაში.

დიდად სჭირდებათ რეზინის წარმოებაში(?).

ის წარმოადგენს აგრეთვე საალმშენებლო მასალას.

კარგია, როგორც სიმყავის ჭურჭლის საცნობი.

იყენებენ საყინულეების მშენებლობაში, ვინაიდან არ ატარებს არც სითბოს, არც სიცივეს (თოვლს რომ დიატომიტი წააყაროთ, თოვლი არ დადნება, შეინახება).

კარგია ასაფეთქებელი მასალების დასაცავად ხანძრისა და აფეთქებისაგან (ამ მიზნით მას უძველეს დროსაც იყენებენ, როგორც მოწმობს სტრაბონი).

სწმენდს და რამოდენიმედ ფერს უცვლის მინერალურ ზეთებს.

ზემოთქმულით ნათლად სჩანს, თუ რამდენად საჭირო ყოფილა დიატომიტი.

როდის დაიწყეს დიატომიტის დამუშავება ქისათიბში?

1895 წელს ახალციხელმა ერთერთმა მეძამულემ დაიწყო ამ მადნის დამუშავება და წლიურად დაახლოებით 2.000 ფუთ დიატომიტს იღებდა. მუშას დღიურად ის აძლევდა ზამთრობით 25 კაპეიკს და ზაფხულში კი 40 კაპეიკს. მენშევიკების დროსაც ამ მეძამულის ხელში იყო ქისათიბის შესანიშნავი მადანი და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოუღო ბოლო მის თარეშს. ახლა ქისათიბის ნაყოფიერებაც თანდათან იზრდება. ექსპლოატატორ მემამულეს ახალციხეში ჰქონდა დიატომიტის საფქვავი ერთი წისქვილი, ახლა კი მაღაროების გვერდით აგებულია ხუთ თვალა ელექტრო-წისქვილი.

ქისათიბის დიატომიტი 1925 წლიდან ახალციხის სამაზრო ალმასკომის ხელში იყო 1927 წლამდე, როდესაც ის სმუსს გადაეცა.

კენჭი დიატომიტი უცხოეთში იგზავნება, დაფქვილი კი საბჭოთა კავშირის ქარხნებში მიდის.

დიატომიტი ძალზე იზიდავს სისველეს და მას გაშრობა სჭირდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ქარხანას არა აქვს მექანიკური საშრობი, და მადანს გზაზე აშრობენ, მაშასადამე, ქარხნის პროდუქცია ამინდზეა დამოკიდებული.

საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენად დიდია ამ მადანის მარაგი ქისათიბში?

როგორც გამოანგარიშებულია, იქ 850 მილიონი ტონა მადანია, რაც აურაცხელ სიმდიდრეს წარმოადგენს, მაგრამ არის აგრეთვე მეორე მთაც, რომლის ექსპლოატაცია ჯერ არ დაწყებულა. საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე გადასწყვიტა ააგოს ახალი [illegible] ქარხანა, რომელმაც ყოველწლიურად უნდა დაფქვას 25.000 ტონა დიატომიტი. მუშაობა უკვე დაიწყო. ეს ქარხანა ვაკეზე შენდება, მაღაროები კი მთაზეა. გადაწყვეტილია მაღაროებიდან ქარხანამდე გაიყვანონ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა „ბრემსბერგი", რომელიც მიაწოდებს ქარხანას დიატომიტს. „ბრემსბერგი" ფუნიკულიორივით არის. ერთსა და იმავე დროს ვაგონები ადიჩამოდის. სულ 6 ვაგონი იმუშავებს და ერთად წაიღებს 6 ტონა მადანს. როდესაც ეს ქარხანა აშენდება, მეორე მთასაც შეესევიან ენტუზიასტი მუშები და მოქათქათე დიატომიტის გორებს დადგამენ კავშირის მშრომელთა საკეთილდღეოთ. მაშინ მეორე მთიდან ქარხანამდე გაიყვანენ საბაგირო გზას მუშაობის გასაადვილებლად.

საუკუნეთა განმავლობაში დასვენებული მთები შეაშფოთა საბჭოთა კავშირის მშრომელების ნებისყოფამ. ყველგან გაცხოველებული მუშაობაა, დღითი-დღე უფრო და უფრო ირკვევა, თუ რაოდენი სიმდიდრის პატრონი ყოფილა საბჭოთა კავშირი, და ქარხანას ქარხანა ემატება, ელსადგურს ელსადგური, და დამკვრელი მუშების ენტუზიაზმი ანგრევს მთის გულს, საიდანაც მოდის ქვანახშირი, მარგანეცი, დიატომიტი და სხვა ბუნების სიმდიდრე.



რიონჰესის მთავარი საგუბარი

პიონერებო ვიბრაროლოგია გამგისათვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.

— შოთა. სად მიდიხარ ასე ადრე, ჯერ ხომ 8 საათი არ არის. დაიცადე ცოტა და მერე ერთად წავიდეთ.

—იცი, მარო რა გითხრა... — დამკვრელობა იმას არ ნიშნავს, რომ ჩინოვნიკივით საათს უყურო და ცდილობდე არ იმუშაო განსაზღვრული დროის შემდეგ. არა, ჩემო მარო: ასეთი დამკვრელი ჩვენ არ გამოგვადგება, რადგან ის შორს სდგას ბოლშევიკური მშენებლობის მძლავრი ტემპებისაგან. გესმის, მარო... დამკვრელობა იმას ნიშნავს, რომ მთელი შენი ენერგია, და თავისუფალი დრო ბოლშევიკების დიად საქმეს მოახმარო. აი, მხოლოდ და მხოლოდ ასეთი თავგამოდებული მუშაობით შეიძლება უზრუნველვყოთ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე ადრე შესრულება ყველა დარგებში.

— რატომ ლაპარაკობ ჩემთან ასე, შოთა? განა მე არ ვიცი — რას ნიშნავს დამკვრელობა, რა არის შრომის სწორი ორგანიზაცია და, რაც მთავარია რა ევალება იმ პიონერს, რომელსაც თავი დამკვრელად აქვს გამოცხადებული? ჩემი შეკითხვა იმას ნიშნავს, თითქოს მე გავურბოდე სოციალისტური შრომის ტემპებს, ან არ მესმოდეს ჩემი, როგორც პიონერის მოვალეობა.

— მარო, მე პირადად მიყვარს ლაპარაკი: შენ პიონერი ხარ, მაგრამ ჯერ კიდევ ჩაბმული არა ხართ დამ-



დაჯილდოვებული დამკვრელი ამხ. პილენკო



ფქვილის გადმოტვირთა გემ აჭარისტანი დან



სათესი მანქანის შეკეთება

კვრელ მუშაობაში. ამიტომ მე ეს შეგიძლია ავსებით გაითვალისწინო ის, რისთვისაც მე ასე ადრე მივდივარ დღეს.

— ამაში არც მე გედავები, მაგრამ თუ მე დღეს დამკვრელი არა ვარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალაც ასე ვიქნები; არა შოთა. ჩვენი ენტუზიაზმი იზრდება, ჩვენი ხალისი და მისწრაფება დღითი დღე მატულობს და ამიტომ მეც იმედი მაქვს ჩავდგე მოწინავეთა რიგებში. შოთა მითხარი: რისთვის მიჩქარი ასე.

— ბოლშევიკების თაობას მიცემული აქვს მტკიცე დავალება — ბრძოლა 216,000 ტონა ბამბისათვის. ამჟამად ხუთწლედის ენტუზიასტები თავგანწირულად იბრძვიან ბამბის ფრონტზე. ახლა ჩვენს ძირითად ამოცანას სოფლის მეურნეობის ფრონტზე წარმოადგენს ბრძოლა ბამბისათვის. ჩვენ, პიონერ ორგანიზაციაც უნდა გაუთანასწორდეთ კომკავშირის ბოლშევიკურ ტემპებს. ჩვენ უნდა შევძლოთ კომკავშირითან ერთად ყოველ სამუშაო დღეში ავკრიფოთ 42 კილოგრამი ბამბა, ხოლო 16 ცენტნერი — ჰექტარიდან. გესმის მარო. — აი, ასეთია დავალება. ამისათვის საჭიროა მთელმა პიონერ - ორგანიზაციამ აქტიური დახმარება გაუწიოს პარტიას და კომკავშირს: საჭიროა თვითეულმა ჩვენთაგანმა თავი დამკვრელად გამოაცხადოს: უნდა მიკაღწიოთ იმას, რომ ყველა პიონერს თავისთვის შედგენილი ჰქონდეს კონკრეტული გეგმა; გარდა ამისა, პიონერ ორგანიზაციები მასიურად უნდა ღარაზმონ ამ კამპანიის გარშემო; ამ მიზნით საჭიროა ჩამოვაყალიბოთ პიონერთა დამკვრელი ბრიგადები, უნდა დაიდვას სოციალისტური ხელშეკრულება ცალკე რაზმებსა და ბაზებს შორის, სადაც დასახული უნდა იქნეს კონკრეტული მაჩვენებელი და ობიექტი. მუშაობის დასრულების შემდეგ პიონერთა ბრიგადამ კონტროლი უნდა გაუწიოს იმას, თუ რამდენად შესრულდა ცალკე მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალება. აი, ასეთია, ამხანაგო მარო, ის ამოცანები, რომელიც დასახული გვაქვს ამჟამად ბამბის ფრონტზე, როგორც ჰხედავ, აქ ამოცანების განხორციელებისათვის საჭიროა უდიდესი მუშაობის ჩატარება; საჭიროა მთელი ენერგიისა და ძალების დარაზმვა, რათა ეს ამოცანები წარმატებით გადავჭრათ.

ნე თავი დამკვრელად მაქვს გამოცხადებული. გუშინ რაიბიუროსაგან მკაცრი დარტყმა მივიღე — წავიდე ბამბის ფრონტზე საბრძოლველად... მარო. ამ უაღრესად პასუხისმგებლიან ამოცანებს მე ვითვალისწინებ იმისათვის. რომ როგორც ყველგან, ისე ბამბის ფრონტზედაც გავამართლო ლენინური პიონერის სახელწოდება, მე დღეს გავდივარ ბამბაზე და მზად ვარ მთელი ჩემი ძალა, ენერგია და ნებისყოფა ამ უდიდეს და პოლიტიკურ და სამეურნეო სასიათის ამოცანის შესრულებას მოვანდომო.

— ახლა კი ვიცი შენი ადრე წასვლის მიზანი. გისურვებ ბამბის ფრონტზე გამარჯვებას.

შოთა უკვე იბრძვის ბამბისათვის...

ეს იყო ერთი თვის წინად.

— ამხანაგებო. ჩვენი რაზმის მთელი შემადგენლობა ორი კვირის განმავლობაში მობილიზებულია ბამბის ფრონტზე. ჩვენ უნდა წავიდეთ იქ, სადაც თავგანწირულად იბრძვის ბამბისათვის ჩვენი დამკვრელი პიონერი — შოთა. წავიდეთ დროზე. ბამბა გვეძახის. ამხანაგებო. ტემპები მაღლა. გაუთანასწორდეთ მოწინავე რაზმებს, — განაცხადა № რაზმის შეკრებაზე პიონერმა მარომ. მარო ახლა დამკვრელია; ის ნორჩ ენტუზიასტთა მოწინავე რაზმის ხელმძღვანელია.

№ პიონერ - რაზმი გავიდა ბამბის საკრეფად.

— სალამი შოთას.

— სალამი ახალგაზრდა ბოლშევიკს.

— სალამი ნორჩ ენტუზიასტს.

— სალამი მებრძოლ ლენინელს.

ასე მიმართეს შოთას № რაზმის პიონერებმა.

— ჩვენ შენთან მოვედით.

— ჩვენ რაიკომმა გამოგვგზავნა.

— ჩვენ მოვედით ამისათვის, რომ შენთან ერთად თავგანწირულად ვიბრძოლოთ 216.000 ტონა ბამბისათვის.

— ჩვენ ყველანი დამკვრელები ვართ.

— და მოცემული გვაქვს მტკიცე დავალება.

— თვითეულმა ჩვენთაგანმა რიფოს 42 კილოგრამი ბამბა.

— ხოლო თითო ჰექტარიდან — 16 ცენტნ.

— მაშ მედგრად ვიბრძოლოთ ბამბის ფრონტზე.

— შოთას სახე გაუბრწყინდა, და აღტაცებულმა წამოიძახა.

— მარო ახლა ხომ იცის რისთვის მივეჩქარებოდი მაშინ. — ახლა თვით შენა ხარ დამკველი, ბამბის ენტუზიასტი და საერთო ძალ-ღონით გავაგრძოთ ბრძოლა ბამბისათვის.

— წინ ბამბის ფრონტზე.

— პიონერებო ფართოდ დაირაზმეთ ბამბისათვის საბრძოლველად.

— ამხანაგებო.

— ჩვენ.

— მოცემული გვაქვს.

— მტკიცე.

— დავალება.

— ვიბრძოლოთ.

— 216.000 ტონა ბამბისათვის.

— ჩვენმა რაზმმა.

— დღეში უნდა დაამზადოს.

— 42 კილოგრამი ბამბა.

— პიონერებო!

— ტემპები მაღლა!

— ბრძოლა ბამბისათვის!

— ავრალ!!! პიონერებო, იბრძოლეთ ბამბისათვის!

მ. ბ.

პიონერები კრეფენ ჩაის

როგორი უნდა იყოს პიონერი ოჯახში და კოლექტივში

გივი აქტიური პიონერია. მას ყველა სცნობს, როგორც სკოლაში ისე კოლექტივში. თითქმის ყოველივე საქმეს მას ავალებენ, ისიც პირნათლად და პიონერულად ასრულებს სამუშაოს.

ხშირად გაიგონებთ: „გივი მოხსენება გააკეთე დისციპლინის შესახებ". გივი კედლის გაზეთს უხელმძღვანელე.

გივი სწავლაში ჩამორჩენილ ამხანაგებს დაეხმარე. გივი ასრულებს დავალებებს, არ ზარმაცობს, ამიტომ მასწავლებლებს და ამხანაგებს ძლიერ უყვართ, მისი ხათრი აქვთ. ხშირათ მის შესახებ ქებასაც გაიგონებთ: „გივი, რომ ჩვენ კოლექტივში არ მუშაობდეს კაპიკათ არ ვეღირებით". რასაკვირველია ეს გადაჭარბებული შეფასებაა. არც ერთი ჩვენთაგანი ასე არ უნდა მსჯელობდეს, რადგან ეს მოსაზრება ძირითადშივე მცდარია და ძველი წვრილ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის პატარა ნამცეცია, მაგრამ საკმაოდ მავნებელი. ბურჟუაზიას ჩვევია ადამიანის ე. ი. პიროვნების განდიდება, ამ განდიდებით ბურჟუაზია აღწევს მნიშვნელოვან მიზანს: მშრომელთა დამონავებას და უსაზღვრო ექსპლოატაციას. ამიტომ უნდა ვერიდოთ ამა თუ იმ ამხანაგის გადაჭარბებით შეფასებას, არ უნდა დავკარგოთ წონასწორობის გრძნობა. მართალია ამა თუ იმ ამხანაგს შეუძლია ბევრი კარგი საქმის გაკეთება, მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ყოველივე რომელიმე პიროვნებაზე იყოს დამოკიდებული ესა თუ ის პიონერი აკეთებს იმას, რაც შეუძლიან, მხოლოთ სხვისი დახმარებით, თუ მას (რომელიმე პიონერს) მოვუსპეთ საზოგადოებრივი პირობები ე. ი. ამხანაგების ერთი-ერთ დახმარებას, მაშინ იგი სრულიადაც ვერაფერს გააკეთებს.

გივის ამხანაგები სცდებოდენ გივის შეფასებაზე. მოისმინეთ ეს საინტერესო ფაქტი:

კომკავშირის უჯრედმა მოისურვა გაეგო როგორ მუშაობდენ აქტიური პიონერები ოჯახში. ამ მიზნით უჯრედიდან გამოჰყვეს ამხანაგები, შეადგინეს კომისია და შეუდგენ საქმის ვითარებას. როდესაც კომისიამ საქმე დაასრულა და თავმჯდომარეს მიეცა სიტყვა კომისის შედეგებზე, მაშინ მან შემდეგი განაცხადა:

— ამხანაგებო ალბათ გაგიკვირდებათ მაგრამ ეს, რასაც მე ვიტყვი ფაქტია, სამწუხაროდ ის ამხანაგები რომლებსაც ჩვენ სკოლაში და კოლექტივში აქტიურად და სამაგალითოდ ვსთვლიდით, ისინი ოჯახში ზარმაცის და მცონარის სახელწოდებებით არიან დასაჩუქრებულები.

— არ გვჯერა?

— შეუძლებელია,

— დაუჯერებელია. ისმოდა აქეთ-იქიდან.

—დიახ ამხანაგებო, მე უკვე გითხარით, რომ დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. ფაქტი კი ჯიუტია. თქვენ ალბათ ყველანი კარგათ სცნობთ პიონერ გივის, სცნობთ როგორც აქტიურს მაგრამ... აქ მომხსენებელი გაჩერდა და ცოტახნის შემდეგ განაგრძო: „მაგრამ ის რომ იგი ოჯახში უვარგისი პიონერი აღმოჩნდა. უკანასკნელი სიტყვები ყველა იქ დამსწრეთ ემწვავათ.

ჩვენ როდესაც გამოვირკვიეთ გივის ოჯახში, შემდეგი სურათი წარმოგვიდგა: გივის დედამ წერა-კითხვა არ იცის, სწამს ღმერთი, ქაჯი და სხვა მავნე სულები. მამაც წერა-კითხვის უცოდინარია, გარდა ამისა ხშირათ უყვარს „ნუნუათი" ყელის ჩაგემრიელება. პატარა და ძმა დილილიდან საღამომდის ქუჩაში დახეტიალობენ, იგინებიან და სხვა **ბინძურ** საქმეებსაც სჩადიან. ყოველივე ამას ჩვენი აქტიური პიონერი გივი გულგრილად უყურებს. მოვა ჩვენი გივი სახლში, ისადილებს, შემდეგ გაგორდება და მშვენივრად გამოიძინებს, საღამოთი კი გაისეირნებს სადმე, აი გივის ოჯახური საქმიანობა.

ამხანაგებო არ გეგონოთ თითქოს ყველა პიონერები ზარმაცობდენ და არაფერს არ აკეთებდნენ ოჯახებში. გვყავს ისეთი პიონერები, რომელნიც მუშაობენ ოჯახში მაგალითად ჩვენს კოლექტივში მუშაობს 1-თი ამხანაგი, რომელსაც არა აქვს არც აქტიური პიონერის და არც პასიური პიონ. სახელი, ეს ამხანაგი პიონერი დიტოა. აი რით არის ეს ამხანაგი სამაგალითო: მან სახლში მოაწყო რადიო, ამით მან მშობლებს მისცა გართობის საშუალება, მანამდის კი მშობლები და მეზობლები ჭორაობით [illegible] ყბებს, ახლა კი დიტოს წყალობით ისმენენ სხვა და სხვა ამბებს, იძენენ ცოდნას და კულტურას. დიტო ამით არ დაკმაყოფილებულა. საღამოთი, როდესაც მშობლები დაღლილნი ბრუნდებოდენ სახლში იგი უკითხავდა გაზეთს, მართალია მშობლებმა კითხვა იციან, მაგრამ დაღლილებს ეძნელებოდათ გაზეთის ხელში აღება და ძმას კი იმის მაგივრად, რომ ქუჩა-ქუჩა ერბინა ასწავლის რევოლიუციონერულ სიმღერებს, ლექსებს, მეზობლებს ყოველივე საქმეზე ეხმარება და ამიტომაც ყველას უყვარს იგი.

ამხანაგებო დანარჩენი ამხანაგები ასე რომ მუშაობდენ ოჯახში როგორც დიტო, მაშინ პარტიას და კომკავშირს მნიშვნელოვნათ დავეხმარებოდით სოციალიზმის შენებაში.

„26 კომუნარის„ ქარხანა ცისტერნის შიკეთება

როგორც გივი, ისე დიტოც არ არის აქტიური, გივი სკოლაში და კოლექტივშია აქტიური, დიტო კი ოჯახში, ორივენი აკეთებენ საქმეს, მხოლოთ ცალმხრივათ. სოციალიზმის შენება კი მოითხოვს ყოველმხრივ დაჭიმულ მუშაობას. პიონერი აქტიურად უნდა მუშაობდეს როგორც კოლექტივში, ისე ოჯახში. აქტიურია ის იპონერი, რომელიც მუშაობს ენერგიულად როგორც კოლექტივში, ისე ოჯახში.

პიონერორგანიზაციის მორიგი ამოცანაა, ოჯახური და კოლექტიური მუშაობის ერთ გეგმაში მოქცევა და ამ გზით მუშაობა. ასე დაასრულა კომისიის თავმჯდომარემ თავისი სიტყვა. ყველა იქ მყოფმა ამხანაგებმა გამოსთქვეს ამ მტკივნელ საკითხზე თავთავიანთი აზრი, თქვენ რაღას იტყვით ჩვენო მკითხველებო.

ალ. ბილანიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედ. კოლეგია. } აბულაძე ს., კაპანაძე აპ., მელაძე კ.,
თაგუკაშვილი შ. საათაშვილი გ.,

პ-გ. რედ. კ. მელაძე.

გაზ. „კომუნისტი"-ს სტამბა კამოს ქუჩა № 68.

შეკვეთა № 2911. მთავლიტი 2032. ტირაჟი 4500.

ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა